

აღფრედ
ქალი



მეფე ჯობუ

AJ

აღფრედ ჟარი
მეფე უბუ,
ანუ
პოლონელები

დრამა პროზად და ხუთ მოქმედებად

ფრანგულიდან თარგმნა
თამარ აბრამიშვილმა



თბილისი



Co-funded by the
Creative Europe Programme
of the European Union

UBU ROI

ISBN 978-9941-2-7821-1

ფრანგულიდან თარგმნა თამარ აბრამიშვილმა

©MEREBAHVILITYKESSON PUBLISHING 2023

პირველი ქართული გამოცემა 2023 ყველა უფლება

დაცულია

info@mtp.ge — www.mtp.ge

ზედმიწვევით აღდგენილია, როგორც
1888 წელს იყო წარმოდგენილი მარიო-
ნეტების თეატრის მიერ.

წიგნი ეძღვნება მარსელ შვაბს

ასე და ამგვარად, მამილო უბუმ დაამ-
კვიდრა საშიში რეგვენის სახე, რასაც
მერე, ინგლისელებმა შექსპირისეული
უნოდეს და ამ სახელით დაანებეს ემრავ-
ლებინა შესანიშნავი ტრაგედიები.

მოქმედი პირნი

მამილო უბუ
დედილო უბუ
კაპიტანი ბორდუერი
მეფე ვენცესლასი
დედოფალი როზამუნდი
ბოლესლასი, ლადისლასი, ბუგრელასი – მათი ვაჟები
წინაპართა აჩრდილები
გენერალი ლასცი
სტანისლას ლეზინსკი
იან სობიესკი
ნიკოლას რენსკი
იმპერატორი ალექსანდრე
ჟირონი, პილი, კოტისი – პალოტენები
შეთქმულები და ჯარისკაცები
ხალხი
მიხაილ ფედოროვიჩი
წარჩინებულები
მსაჯულები
მრჩევლები
ფინანსისტები
მსახურები
გლეხები
მთელი რუსული ჯარი
მთელი პოლონური ჯარი
დედილო უბუს მცველები
კაპიტანი
დათვი
ფინანსთა ცხენი
ეკიპაჟი
მეთაური

პირველი მოქმედება სურათი I

მამილო უბუ, დედილო უბუ

მამილო უბუ – ამისი დედაც!..

დედილო უბუ – ოჰ! ყოჩაღ, მამილო უბუ, დიდი არამზადა ვინმე კი ბრძანდებით.

მამილო უბუ – ნუ მომეკვლევინებით, დედილო უბუ!

დედილო უბუ – არა, მამილო უბუ, მოსაკლავი მე კი არა, სხვა არის.

მამილო უბუ – შენი ვერაფერი გამიგია.

დედილო უბუ – როგორ, მამილო უბუ, თქვენი ბედის კმაყოფილი ხართ?

მამილო უბუ – ჩემი მწვანე შანდლის მზემ, ბედს არ ვუჩივი, ქალბატონო, დიახ, ასეა, კმაყოფილი ვარ. სხვა თუ არაფერი, მე დრაგუნთა კაპიტანი, მეფე ვენცესლასის ნდობით აღჭურვილი ოფიცერი, პოლონეთის წითელი არმიის ორდენის კავალერი და არაგონის ყოფილი მეფე ვარ! მეტი რა გინდათ?

დედილო უბუ – როგორ, მას შემდეგ, რაც არაგონის მეფე იყავით, ახლა, ნაცვლად იმისა, რომ მაგ გოგრაზე არაგონის გვირგვინის მერე, პოლონეთის გვირგვინი დაგედგათ, მხოლოდ აფთით აღჭურვი-

ლი ორმოცდაათიოდე შიკრიკის ალღუმს იბარებთ.

მამილო უბუ – ოჰ, დედილო უბუ, ვერ გამიგია, რას მიარაკებ?

დედილო უბუ – რა სულელი ხარ!

მამილო უბუ – ჩემი მწვანე შანდლის მზემ, მეფე ვენცესლასზე მკვდარიაო, ვერაფრით იტყვიტ და ასეც რომ იყოს, არ იცით, რომ შვილების მთელი ლეგიონი ჰყავს?

დედილო უბუ – მერე, ვინ დაგიშალა, მთელ ოჯახს სახელი გაუტეხო და მათი ადგილი შენ დაიკავო?

მამილო უბუ – ოჰ, დედილო უბუ, თქვენ მე მლან-ძღავთ და აი, ახლა კი, ჩამშვებად იქეცით.

დედილო უბუ – ეჰ, შე საწყალო, მე თუ ჩამშვები ვარ, ნეტა ვიცოდე, შენს უკანალს ვინლა მიხედავს?

მამილო უბუ – ჰო, მართლაც! მერე? მე რა, სხვანაირი უკანალი მაქვს?

დედილო უბუ – მე რომ შენი ვიყო, მაგ უკანალს სამეფო ტახტზე დავსვამდი. მაშინ კრეზივით გამდიდრდებოდი, წარამარა ძეხვს შეჭამდი და ქუჩაში კარეტიტ იგრიალედი.

მამილო უბუ – მე რომ მეფე ვყოფილიყავი, ჩემს დიდ ლაბადას ძეგლს დავუდგამდი, ისეთს, როგორიც არაგონში მქონდა და რომელიც იმ ესპანელმა ნაბიჭვრებმა მომპარეს.

დედილო უბუ – ქოლგა და შენს ფეხებთან დაგდებული დიდი ტახიც არ დაგავიწყდეს.

მამილო უბუ – ოჰ! ნეტა კი, ეგ ნეხვის გორა ტყეში
გადამეყაროს და ვფიცავ, თავბედს ვაწყევლინებდი.

დედილო უბუ – ოჰო! მომილოცავს, მამილო უბუ,
როგორც იქნა, ვაჟკაცურად ალაპარაკდი.

მამილო უბუ – ოჰ, არა! სად მე, დრაგუნთა კაპი-
ტანი და პოლონეთის ნდობით აღჭურვილი პირი და
სად ვაჟკაცობა! მაგას სიკვდილი მიჯობს!

დედილო უბუ – ოჰ, ჯანდაბა! (*ხმამალლა*) მაშინ
ვირთხასავით გამხდარი და ლატაკი დარჩები.

მამილო უბუ – ამისი დედაც!.. ჩემი მწვანე შანდ-
ლის მზემ, მირჩევნია, გამხდარი და მამაცი ვირთხ-
ასავით ლატაკი ვიყო, ვიდრე ავი და ჩასუქებული
კატასავით მდიდარი.

დედილო უბუ – მერე, შენი ლაბადა?.. შენი ქოლ-
გა?.. შენი ტახი?..

მამილო უბუ – მერე, მერე, დედილო უბუ? (*გავა და
კარს გაიჯახუნებს.*)

დედილო უბუ (*მარტოა*) – ჯანდაბა, ჯანდაბა! იო-
ლად ვერ გაანძრევ, მაგრამ ერთი თუ წამოდგა, წინ
ველარავინ დაუდგება. არა, მაინც წამოვადგებ და
ღვთისა და ჩემი თავის წყალობით, რვა დღეში შეი-
ძლება პოლონეთის დედოფალი გავხდე.

სურათი II

*მოჩანს მამილო უბუს სახლის ოთახი, სადაც
ბრწყინვალე სუფრაა გაშლილი.*

მამილო უბუ, დედილო უბუ

დედილო უბუ – ეჰ! ჩვენი სტუმრები ძალიან აგვიანებენ.

მამილო უბუ – შიმშილისაგან კუჭი გამიხმა. დედილო უბუ, დღეს ძალიან უშნოდ გამოიყურები. იმიტომ ხომ არა, რომ სტუმრები გვეყოლება?

დედილო უბუ (*მხრებს იჩეჩავს*) – ჯანდაბა!

მამილო უბუ (*დაითრევს შემწვარ ვარიას*) – ძალიან მშია. ახლა ამ ჩიტს გადავსანსლავ. მგონი, ვარია უნდა იყოს. ჰო. ურიგო არ არის.

დედილო უბუ – რას შვრები, შე უბედურო? სტუმრებს რითლა გავუმასპინძლდეთ?

მამილო უბუ – სუფრა ისევ სავსეა. ხელს აღარაფერს ვახლებ. დედილო უბუ, ფანჯარაში გაიხედე და ნახე, სტუმრები ხომ არ მოვიდნენ.

დედილო უბუ (*ამბობს ფანჯარისკენ მიმავალი*) – ვერავის ვხედავ. (*ამასობაში, მამილო უბუ ხბოს ხორცს დაითრევს.*) ჰო, აი, კაპიტანი ბორდური და მისი მომხრეები მოვიდნენ. ახლა, რას ჭამ, მამილო უბუ?

მამილო უბუ – არაფერს, ცოტა ხბოს ხორცი ავიღე.

დედილო უბუ – რაო! ხბო შეჭამე! ხბო შეჭამე? მიშ-
ველეთ! მიშველეთ!

მამილო უბუ – ჩემი მწვანე შანდლის მზემ, ენას
ამოგგლეჯ!

(იღება კარი.)

სურათი III

*მამილო უბუ, დედილო უბუ, კაპიტანი ბორდური
და მისი მომხრე მეომრები.*

დედილო უბუ – მოგესალმებით, ბატონებო, მოუთმენლად გელოდებოდით. დაბრძანდით!

კაპიტანი ბორდური – გამარჯობა, ქალბატონო. მამილო უბუ რატომ არა ჩანს?

მამილო უბუ – აგერა ვარ, აგერ! რა ოხრობაა? ჩემი მწვანე შანდლის მზემ, მგონი საკმაოდ ზორბა კაცი ვარ.

კაპიტანი ბორდური – გამარჯობა, მამილო უბუ! დასხედით, ჩემო კაცებო. (მისი მომხრეები სხდებოდნ.)

მამილო უბუ – უჰ, ცოტაც და, სკამს დავხრავდი.

კაპიტანი ბორდური – აბა, დედილო უბუ, დღეს რითი გაგვიმასპინძლდებით?

დედილო უბუ – აი, კერძების სია.

მამილო უბუ – ჰო-ო-ო, ეგ მეც მაინტერესებს!

დედილო უბუ – პოლონური წვნიანი, ცხვრის ფერდი, ხბო, ვარია, ძაღლის პაშტეტი, ინდაურის კურტუმი, რუსული „მარლოტა“...

მამილო უბუ – მგონი, რომ საკმარისია. კიდევ არის რამე?

დედილო უბუ – სასმელი, სალათი, ხილი, მოხარ-
შული ხორცი, ტომპინამბური, ყვავილოვანი კომბო-
სტო ნეხვურად.

მამილო უბუ – ამდენი ხარჯი რომ გაგინევია, შენ
მე აღმოსავლეთის იმპერატორი ხომ არ გგონივარ?

დედილო უბუ – ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩერჩე-
ტობს.

მამილო უბუ – ახლავე კბილებს დავილესავ და
შეგჭამ, შეგახრამუნებ!

დედილო უბუ – სჯობს სადილი შეჭამო, მამილო
უბუ. ასე იქცევიან პოლონელები.

მამილო უბუ – არ მიყვარს ცულლუტობა.

კაპიტანი ბორდური – მართლაც არ არის კარგი.

დედილო უბუ – ეს არაბების ბრბო, რად გინდათ?

მამილო უბუ (შუბლში ხელს იტკეცს) – უჰ! რაღაც
მოვიფიქრე. ახლავე მოვალ. (გადის.)

დედილო უბუ – ბატონებო, ახლა ხბოს ხორცს
გავსინჯავთ.

კაპიტანი ბორდური – ძალიან კარგია, უკვე გეახ-
ელი.

დედილო უბუ – ახლა კურტუმს შევეუტიოთ.

კაპიტანი ბორღური – გემრიელია, გემრიელია!
გაუმარჯოს დედილო უბუს.

ყველა – გაუმარჯოს, დედილო უბუს!

მამილო უბუ (შემოდის) – სულ მალე, გაუმარჯოს
მამილო უბუსო, იყვირებთ. (ხელში რალაც საშინე-
ლი ცოცხი უჭირავს, რომელსაც სუფრაზე არჭობს.)

დედილო უბუ – უბედურო, რას შვრები?

მამილო უბუ – აბა, გასინჯეთ. (ბევრი გასინჯავს
და მონამლული დაეცემა.)

მამილო უბუ – დედილო უბუ, გამოუშვი ჩემი მოტა-
ნილი კოტლეტები.

დედილო უბუ – აგერ არის.

მამილო უბუ – ყველა კარში გავიდეს! კაპიტანო
ბორღურ, თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

სხვები – ჰეი! ჯერ არ გვისადილია.

მამილო უბუ – რას ჰქვია არ გისადილიათ! ყველანი
კარში! თქვენ დარჩით, ბორღურ. (ფეხს არავინ იცე-
ლის.)

მამილო უბუ – კიდევ აქა ხართ? ჩემი მწვანე შანდ-
ლის მზემ, ახლავე გვერდებს დაგიზელთ!

ყველა – ვაი! ვუი! გვიშველეთ! თავი დავიცვათ!
ვაიმე! მოვკვდი!

მამილო უბუ – თქვენი დედაც! თქვენი დედაც!
მოუსვით აქედან! მე ჩემს საქმეს ვაკეთებ.

ყველა – ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთ! რა სა-
შინელებათ! მამილო უბუ მოლალატე, მათხოვარი და
არამზადაა!

მამილო უბუ – უჰ! როგორც იქნა, წავიდნენ. სული
მოვითქვი, მაგრამ კარგად ვერ ვისადილე. წამო-
დით, ბორდურ. (გადიან დედილო უბუსთან ერთად.)

სურათი IV

მამილო უბუ, დედილო უბუ, კაპიტანი ბორდური

მამილო უბუ – აბა, კაპიტანო, მოგეწონათ, გემრიელად მიირთვით?

კაპიტანი ბორდური – ძალიან, ნეხვისებურის გარდა.

მამილო უბუ – ურიგო არც მაგას ეთქმოდა.

დედილო უბუ – კაცია და გუნება...

მამილო უბუ – კაპიტანო ბორდურ, გადავწყვიტე, ლიეტუას დუკობა გიბოძოთ.

კაპიტანი ბორდური – რანაირად, თქვენ რა შეგიძლიათ•?

მამილო უბუ – თქვენის ნებართვით, ორიოდ დღეში, პოლონეთში გავმეფდები.

კაპიტანი ბორდური – ვენცესლასს მოკლავთ?

მამილო უბუ – ეს ყმანვილი სულელი არ არის!

კაპიტანი ბორდური – თუ საქმე ვენცესლასის მოკვლაზეა, მე მისი მოსისხლე მტერი ვარ და ჩემს კაცებზე პასუხს ვაგებ!

მამილო უბუ (*მივარდება და გულში ჩაიკრავს*) – ოჰ,

ოჰ, ბორდურ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ!

კაპიტანი ბორდური – ოჰ, ასე შეიძლება კაცი მონამლოთ! თქვენ რა, არასდროს იბანთ?

მამილო უბუ – იშვიათად.

დედილო უბუ – არასდროს!

მამილო უბუ – მოკლედ, თქვენთან საქმე აღარა მაქვს, მაგრამ დედილო უბუსა ვფიცავ, ლიეტუას დუკობა განაღდებული გაქვთ.

დედილო უბუ – კი, მაგრამ...

მამილო უბუ – ჩემად, ჩემო მტრედო...

(გადიან.)

სურათი V

მამილო უბუ, დედილო უბუ, მაცნე

მამილო უბუ – რა გნებავთ, ბატონო? მოუსვით აქედან, თავი მომაბეზრეთ!

მაცნე – ბატონო ჩემო, მეფე თავისთან გიხმობთ!

(გადის.)

მამილო უბუ – ოჰ, დასწყევლოს, გამომამზეურეს და ახლა თავს მომჭრიან! ვაიმე! ვუიმე!

დედილო უბუ – ღმერთო, რა უნიათოა!.. არადა, დრო არ ითმენს!

მამილო უბუ – უჰ, მოვიფიქრე! ვიტყვი, ეგ სულ დედილო უბუსა და ბორდურის ოინებია-მეთქი.

დედილო უბუ – ოჰ, შე ნეხვის ტომარავ, შენ თუ მაგას იზამ...

მამილო უბუ – სწორედ მაგას ვაპირებ...

(გადის.)

დედილო უბუ (გამოეკიდება) – ოჰ, მამილო უბუ, მამილო უბუ!.. ოჰ, დამაცა, გაჩვენებ სეირს, დოყლაპია!

სურათი VI

მეფის სასახლე

*მოჩანს მეფე ვენცესლასი, რომელსაც გარს თავისი
ოფიცრები ახვევია; აგრეთვე — ბორდური, მეფის
ვაჟები ბოლესლასი, ვლადისლასი და ბუგრელასი,
შემდეგ შემოდის მამილო უბუ.*

მამილო უბუ (შემოსვლისთანავე) – ოჰ, ეგ მე კი
არა, დედილო უბუ და ბორდური იყვნენ.

მეფე – რა მოხდა, მამილო უბუ?

კაპიტანი ბორდური – ნასვამია...

მეფე – ჩემი არ იყოს... დილას მეც დავლიე.

მამილო უბუ – დიახ, მთვრალი ვარ, იმიტომ, რომ
ბევრი ფრანგული ღვინო დავლიე.

მეფე – მამილო უბუ, დღეიდან, იმ უდიდესი ღვან-
ლისთვის, რაც თქვენ გასწიეთ, როგორც დრაგუნთა
პოლკის კაპიტანმა, სანდომირის გრაფობა მიბოძე-
ბია!

მამილო უბუ – ოჰ, ბატონო ვენცესლას, არც კი
ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ!

ვენცესლასი – მადლობა საჭირო არ არის, ხვალ,
დილით, თავყრილობაზე გამოცხადდით.

მამილო უბუ – გეახლებით, მაგრამ ნება მიბოძეთ, ეს პატარა სტვირი საჩუქრად მოგართვათ!

(მეფეს სტვირს გაუნვდის.)

მეფე – ჩემი ხნის კაცმა ამ სტვირს რა მოვუხერხო? ამას ბუგრელასს მივცემ.

ბუბრელასი – ეს მამილო უბუ სულელია?

მამილო უბუ – ახლა კი, თქვენის ნებართვით, ნავალ და დავიძინებ *(მიტრიალდება წასასვლელად და წაიქცევა)*. ვაი-ვაი, მიშველეთ, ვკვდები! ჩემი მწვანე შანდლის მზემ, შიგანი მთლიანად ჩამწყდა!

მეფე *(წამოაყენებს)* – მამილო უბუ, ცოცხალი ხართ?

მამილო უბუ – წყალი არ გაუვა, მაგრამ სულს ნაღდად გავაცხებ და რა ეშველება დედილო უბუს?

მეფე – ჩვენ ვანუგეშებთ!

მამილო უბუ – შეჭამს თუ არა, მაშინვე ფეხს გაჭიმავს და ასე და ამგვარად, სიკეთეს იჩინო. *(გადის.)* ჰო, მაგრამ მე მაინც აგკაფავ, ჩემო ვენცესლას!

სურათი VII

მამილო უბუს სახლი

ჟირონი, პილი, კოტისი, მამილო უბუ, დედილო
უბუ, შეთქმულები და ჯარისკაცები,

კაპიტანი ბორდური

მამილო უბუ – ეჰეი, ჩემო ძმებო და მეგობრებო, დროა შეთქმულების გეგმა დავსახოთ. ყველამ თავისი აზრი გამოთქვას. თქვენის ნებართვით, ჯერ მე მოგახსენებთ.

კაპიტანი ბორდური – გისმენთ, მამილო უბუ!

მამილო უბუ – კეთილი და პატიოსანი... მე თუ მკითხავთ, სულაც ავდგეთ და საუზმეში დარიშხანი ჩავუყაროთ. შეჭამს თუ არა, ფეხებს გაფშეკს და მე გავმეფდები.

ყველა – ფიე, რა მაიმუნობაა!

მამილო უბუ – რა მოხდა, არ მოგწონთ? თუ ასეა, ახლა ბორდურმა გვითხრას, რას ფიქრობს.

კაპიტანი ბორდური – მხოლოდ იმას, რომ ხმაღს მოვუქნევ და თხემით-ტერფამდე შუა გავაპობ!

ყველანი – ჰო, ეს კეთილშობილი და მეომარი კაცის საკადრისი საქციელია!

მამილო უბუ – ნიხლი რომ ჩაგაზილოს? აი, ახლა გამახსენდა, რომ რკინისწვეტიან ფეხსაცმელს იცვამს ხოლმე და ძალიან მტკივნეულია. ამ ბინძური საქმიდან რომ გამოვძვრე, ყველას დაგაბეზლებთ და ჯილდოსაც მივიღებ!

დედილო უბუ – ოჰ, შე მოღალატე, შე ლაჩარო, შე გაუთლელი ნუნურაქო!

ყველანი – დაიგინეთ, მამილო უბუ!

მამილო უბუ – დამშვიდდით, ბატონებო, თუ არ გინდათ, ყველანი ჯიბეში ჩაგისვათ. თანახმა ვარ, გზა გაგიკვალოთ. პირველ ყოვლისა, შენ მეფის ქეშიკებს შეცვლი.

კაპიტანი ბორღური – ხომ არ აჯობებს, რომ ჩვენ, ყველანი, იარაღის ჟღარუნითა და შეძახილებით, თავს ერთად დავესხათ? ასე შეიძლება სხვა რაზმებიც მოვიზიდოთ!

მამილო უბუ – მოკლედ, ასე მოვიქცეთ მე ვეცდები, ფეხდაფეხ მივყვე, ის ტლინკებს აყრის, მე კი, ამ დროს, ეშმაკმა წაიღოს-მეთქი, შევძახებ და თქვენც თავს დაესხმით!

დედილო უბუ – ჰოდა, მოკვდება თუ არა, შენ მის კვერთხსა და გვირგვინს დაეპატრონები.

კაპიტანი ბორღური – მე კი, ჩემი კაცებით, მეფის ოჯახს გამოვუდგები.

მამილო უბუ – ჰო, ასე ჰქენი და გირჩევ, განსაკუთრებით ყმანვილ ბუგრელასს მიხედო!

(კაპიტანი ბორდური და მისი კაცები გადიან.)

მამილო უბუ (გამოუდგება და უკან დააბრუნებს)
– ბატონებო, აუცილებელი წესი – ფიცის დადება
დაგვაფიქსდა.

კაპიტანი ბორდური – რა ვიღონოთ? მოძღვარი არ
გვყავს?

მამილო უბუ – დედილო უბუს შეუძლია შეცვალოს.

ყველანი – დაე, ასე იყოს!

მამილო უბუ – ფიცავთ, რომ მეფეს მოკლავთ?

ყველანი – დიახ, ვფიცავთ, გაუმარჯოს მამილო
უბუს!

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

სურათი I

მეფის სასახლე

ვენცესლასი, დედოფალი როზამუნდი, ბოლესლასი,
ლადისლასი, ბუგრელასი

მეფე – ბ-ნო ბუგრელას, ამ დილას ძალიან უდიე-
რად მოექცეცით ბ-ნ უბუს, ჩემი სამეფო კარის რა-
ინდსა და სანდომირის გრაფს.

დედოფალი – ვენცესლას, შეგახსენებთ, რომ ბე-
ვრი ნათესავი არ გყავთ, ვინც ზურგს გაგიმაგრებთ.

ჭაბუკი ბუბრელასი – გემორჩილებით, ბატონო
მამავ.

დედოფალი – სირ, რა გადაწყვიტეთ, ალღუმზე
მაინც მიდიხართ?

მეფე – რატომ გგონიათ, რომ არ უნდა ნავიდე,
ქალბატონო?

დედოფალი – დილას უკვე გითხარით და ახლაც
გიმეორებთ დამესიზმრა, რომ თქვენ მთელი ამ აბ-
ჯარასხმული ლაშქრისგან ძლეული და ვისტულში
გადაგდებული იყავით, ხოლო არწივი, – იმგვარი,
როგორიც პოლონეთის ჯარის სიმბოლოა, – თავზე
გვირგვინს იმ კაცს ადგამდა.

მეფე – ვის?

დედოფალი – მამილო უბუს.

მეფე – საიდან მოიტანეთ? ბ-ნი უბუ ჩინებული ჯარისკაცია და ტყავიდან ძვრება, რომ მემსახუროს.

დედოფალი და ბუბრელასი – ძალიან ცდებით!

მეფე – ჩუმად, პატარა მაიმუნო! თქვენ კი, ქალბატონო, რომ დაგარწმუნოთ, როგორ ვენდობი ბ-ნ უბუს, აღლუმზე ისე წავალ, როგორც აი, ახლა მხედავთ – უიარალოდ და უხმლოდ.

დედოფალი – საბედისწერო შეცდომაა. მე თქვენ ცოცხალს ველარ გიხილავთ.

მეფე – ლადისლას, ბოლესლას, მომყევით!

(დედოფალი და ბუგრელასი ფანჯარასთან მიდიან.)

დედოფალი და ბუბრელასი – მაღალმა ღმერთმა და წმინდა ნიკოლოზმა დაგიფაროთ!

დედოფალი – ბუგრელას, გამომყევით სამლოცველოში და ერთად შევთხოვოთ ღმერთს, რომ მათქვენი და თქვენი ძმები დაიფაროს.

სურათი II

ლაშქრის თავშეყრის ადგილი დიდი ველი

პოლონელთა ლაშქარი, მეფე, ბოლესლასი, ლადის-
ლასი, მამილო უბუ,

კაპიტანი ბორდური და მისი კაცები, ჟირონი,
პილი, კოტისი

მეფე – ო-ო-ო! აი, დანსინგის მცველთა რაზმიც
უკვე ამხედრებულა. მართლაც უკვე ძალიან კარ-
გად გამოიყურება.

მამილო უბუ – ასე გგონიათ? აბა, ერთი ამ ჯა-
რისკაცს შეხედეთ (*მიმართავს ჯარისკაცს*), რამდენ-
ი ხანია, რაც წვერი არ შეგიკრეჭია, ტურტლიანო
ბრიყვო?

მეფე – რას ამბობთ, მამილო უბუ?! ეს ჯარისკაცი
ძალიან სუფთად გამოიყურება!

მამილო უბუ – წადი, შე ლაყე! (*მეფეს ნიხლს ჩაა-
ზელს.*) ესეც შენ, მიილე!

მეფე – უბედურო! ეშმაკმა წაგიღოს!

მამილო უბუ – ჯანდაბა! აქეთ, ჩემო კაცებო!

კაპიტანი ბორდური – ვაშა-ა-ა! წინ! (*ყველანი მე-
ფეს მიცვივდებიან და ურტყამენ. სადღაც თოფის
წამალი ფეთქდება.*)

მეფე – ვაჰმე! მიშველეთ! ღვთისმშობელო დედაო,
მომკლეს!

ბოლქლასი (ვლადისლასს) – რა ხდება? გავიქცეთ!

მამილო უზუ – ესეც ასე! გვირგვინი მე მაქვს. ახლა
სხვებს მივხედოთ.

კაპიტანი ბორდური – არ გაუშვათ, ეგ ორგულები!

(მეფის ნულები გარბიან, დანარჩენები მათ მისდე-
ვენ.)

სურათი III

დედოფალი და ბუგრელასი

დედოფალი – მგონი, გულზე ცოტა მომეშვა.

ბუბრელასი – ტყუილად შიშობდით (გარედან ის-მის საზარელი ხმაური). ოჰ, ამას რას ვხედავ, ჩემს ორივე ძმას მამილო უბუ და მისი კაცები მოსდევენ!

დედოფალი – ღმერთო ჩემო, მათი მშველელი არა-ვინ არის! ფეხქვეშ მინა აქვთ გამოცლილი!

ბუბრელასი – მთელ ჯარს მამილო უბუ მოუძღვის, მეფე აქ აღარ არის! რა საშინელებაა! მოგვეშველენით!

დედოფალი – ბოლესლასი მოკლეს, ტყვია მოხვდა!

ბუბრელასი – ეჰეი! (ლადისლასი მისკენ მოიხედავს) თავი დაიცავი! ვაშა ლადისლასს!

დედოფალი – ოჰ, გარს შემოერტყნენ!

ბუბრელასი – მისი საქმე წასულია, ბორდური წინილასავით თავს წააცლის!

დედოფალი – ოჰ, გავეშებული ხალხი სასახლეში შემოიჭრა! უკვე კიბეზე ამორბიან! (ხმაური მატულობს.)

დედოფალი და ბუბრელასი (მუხლმოდრეკილნი) –

ღმერთო, შენ დაგვიფარე!

ბუბრელასი – ოჰ, ეგ წყეული მამილო უბუ! ეგ
თაღლითი, ეგ მოღალატე! ერთი, ხელში თუ ჩამი-
ვარდა...

სურათი IV

*იგივენი. ჩამოგლეჯილ კარში მამილო უბუ და მო-
ძალადეები შემოიჭრებიან.*

მამილო უბუ – ჰეი, ბუგრელას, მითხარი რა გიყო?

ბუბრელასი – ღვთის შეწევნით, დედაჩემს სისხლის
უკანასკნელ წვეთამდე დავიცავ! პირველი, ვინც ნა-
ბიჯს გადმოდგამს, მოკვდება!

მამილო უბუ – ოჰ, ბორდურ, მეშინია! მოდი, მე
წავალ!

(ბუგრელასს უახლოვდება ჯარისკაცი.)

ჯარისკაცი – დაგვნებდი, ბუგრელას!

ჭაბუკი ბუბრელასი – მიილე, არამზადავ! (თავს
გაუპობს.)

დედოფალი – არ შედრკე, ბუგრელას! არ დანებდე!

ბუბრელასს უახლოვდებიან სხვები – გპირდებით,
რომ სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ!

ბუბრელასი – არამზადებო, ლოთებო, ჩემი სისხლი
გმართებთ! *(ხმალს მოდრეკს და საბრძოლველად
გაემზადება.)*

მამილო უბუ – ოჰ, ორ წუთში წირვას გამოგიყვანთ!

ბუბრელასი – დედა, საიდუმლო კიბით თავს უშვე-
ლეთ!

დედოფალი – შენ ჩემო ბიჭო, შენ რას იზამ?

ბუბრელასი – მეც უკან მოგყვები.

მამილო უბუ – არიქა, დედოფალი შეიპყარით! უჰ,
გაიქცა! შენ კი, შე საცოდავო... (უახლოვდება ბუგ-
რელასს.)

ბუბრელასი – დიდება უფალს! აი, მიიღე. (საშინე-
ლი ძალით მოუქნევს ხმალს და ბექთარს გაუჭრის.)
დედა, მოგყვები! (საიდუმლო კიბით უჩინარდება.)

სურათი V

ქვაბული მთაში

შემოდის ბუგრელასი, რომელსაც უკან დედოფალი როზამუნდი მოჰყვება.

ბუბრელასი – აქ უსაფრთხოდ ვართ.

დედოფალი – ჰო, დარწმუნებული ვარ!.. ბუგრელას, მიშველე! (დაეცემა თოვლზე.)

ბუბრელასი – ოჰ, რა მოგდის, დედა?

დედოფალი – ძალიან ავად ვარ... დამიჯერე, ასეა. სულ რაღაც ორი საათის სიცოცხლე დამრჩა...

ბუბრელასი – რას ამბობ, გაიყინე?

დედოფალი – როგორ გგონია, რამდენს გავუძლებ? მეფე მოკლეს. შენ, ყველაზე კეთილშობილი ჯიშისა და ჯილაგის კაცი დევნილი ხარ და კონტრაბანდისტივით მთებში იმალები.

ბუბრელასი – ჰო, დევნილი ვარ და თანაც ვის მიერ? ერთი გაუთლელი მამილო უბუსგან. არავინ იცის საიდან გამომტყვევრალი ბედის მაძიებლისგან, ერთი გაუთლელი ხეპრესგან, სამარცხვინო მანანნალასგან!.. როდესაც მახსენდება, რომ მამაჩემმა ის აამაღლა და გრაფობა უბოძა, იმ ხეპრემ კი მეორე დღესვე მასზე ურცხვად ხელი აღმართა!..

დედოფალი – ოჰ, ბუგრელას, როცა მახსენდება

რა ბედნიერები ვიყავით, სანამ ის სამარცხვინო მამილო უბუ გამოჩნდებოდა! ახლა კი, ვაგლახ, ყველაფერი შეიცვალა!

ბუმბრელასი – რა გაენყობა? იმედს მოვუხმოთ და ჩვენს უფლებებზე უარი არასდროს ვთქვათ.

დედოფალი – ღმერთმა გისმინოს, საყვარელო, მაგრამ მე მაგ დღეს ველარ მოვესწრები.

ბუმბრელასი – რა მოგივიდა?.. როგორ გაფითრდა!.. ფეხზე ველარ დგას!.. მიშველეთ ვინმემ!.. არა, ამ უდაბურ ადგილას მშველელი არავინ არის! ოჰ, ღმერთო, გული აღარ უცემს, გარდაიცვალა! ღმერთო, ნუთუ დაგკარგე?! მამილო უბუს კიდევ ერთი მსხვერპლი! (სახეს ხელებში ჩარგავს და ქვითინებს) ოჰ, ღმერთო, რა ძნელია, როდესაც თოთხმეტი წლისა სულ მარტო რჩები და უკან გავემებულები მოსისხლე მოგდევს. (სასომიხდილი პირქვე დაემხობა.)

(ამასობაში მღვიმეში ვენცესლასის, ბოლესლასის, ლადისლასისა და როზამუნდის სულები შემოდინან, რომლებსაც უკან მათი წინაპრების სულები მოჰყვებიან და მღვიმეს ავსებენ. უხუცესი ბერიკაცი ბუგრელასთან მიდის და აღვიძებს.)

ბუმბრელასი – ჰა, რა ხდება? ჩემი ოჯახის ყველა წინაპარს თავი აქ მოუყრია... რას მიქადიან?

აჩრდილი – უწყი, ბუგრელას, რომ მე, სიცოცხლეში, სენიორ მატიას ლენინბერგი და ჩვენი სამეფო კარის ფუძემდებელი ვიყავ. შურისძიება შენი ვალია (აძლევს ხმალს) და გახსოვდეს, რომ ამ ხმალს, რომელსაც გაძლევ, ქარქაშში არ ჩააგებ მანამ, სანამ უზურპატორი ცოცხალი იქნება.

(ყველა უჩინარდება და ექსტაზმორეული ბუგრე-
ლასი მარტო რჩება.)

სურათი VI

მეფის სასახლე

მამილო უბუ, დედილო უბუ, კაპიტანი ბორდური

მამილო უბუ – არა, არ მინდა, არა-მეთქი! თქვენ რა, გინდათ, ამ გაუთავებელი ქაბა-ყლაპით სულ დამაქციოთ?

კაპიტანი ბორდური – კარგი რა, მამილო უბუ, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ხალხი ზეიმსა და დროსტარებას ელის?

დედილო უბუ – თუ ხორცსა და ოქროს არ გაიღებ, ორ საათსაც ვერ იმეფებ.

მამილო უბუ – ხორცზე ყაბულსა ვარ!.. ოქროზე არა! სამი ჯაგლაგი ცხენი და მისი ჯანი! ამ ტურტლიანებისთვის ესეც მეტია!

დედილო უბუ – თვითონ ტურტლიანო, ვის რად უნდა შენი ჯაგლაგი?

მამილო უბუ – გეუბნები, უნდა გავმდიდრდემეთქი! ერთ სუსაც არ გავიმეტებ.

დედილო უბუ – მთელი პოლონეთის სიმდიდრე შენს ხელშია.

კაპიტანი ბორდური – ჰო, ასეა! ვიცი, რომ სამლოცველოში აურაცხელი განძი ინახება. ჰოდა, ის ავიღოთ და დავარიგოთ.

მამილო უბუ – ნეტა არ მინდა, ხელი ახლო!

კაპიტანი პორდური – კი მაგრამ, მამილო უბუ, თუ ხალხს არაფერს მისცემ, გადასახადს აღარ გადაიხდის.

მამილო უბუ – ეს მართალია?

დედილო უბუ – ჰო, ჰო, მართალია!

მამილო უბუ – ჰო, თუ მართალია, მაშინ ყველაფერზე თანახმა ვარ. თავი მოუყარეთ სამ მილიონს, დაკალით ას თხუთმეტი ხარი, ოღონდ იცოდეთ, მეც მარგუნეთ. (გადის.)

სურათი VII

სასახლე ხალხით არის სავსე.

მამილო უბუს უკვე გვირგვინი ადგას. დედილო უბუ, კაპიტანი ბორდური, მსახურები ხორცს არი-გებენ.

ხალხი – აგერ მეფეც! გაუმარჯოს მეფეს! ვაშა-ა-ა!

მამილო უბუ (ხალხს ოქროს გადაუყრის) – აი, აი-ღეთ, სულაც არ მომწონს, რომ ოქროს გირიგებთ, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ეს დედილო უბუს სურვილი იყო. ასეა თუ ისე, დამპირდით, რომ გადასახადებს დროზე გადაიხდით.

ხალხი – კი, კი, გპირდებით.

კაპიტანი ბორდური – დედილო უბუ, ხომ ხედავთ, როგორ დაეძგერნენ, როგორ იბრძვიან!..

დედილო უბუ – ფუ, მართლაც საშინელი სანახავია! აგერ, ერთს თავიც გაუტეხეს.

მამილო უბუ – იფ, სანახაობაც ამას ჰქვია!.. მეორე ყუთიც მოიტანეთ!

კაპიტანი ბორდური – კარგი იქნებოდა, შეჯიბრება მოგვეწყო.

მამილო უბუ – ჰო, ეგ კარგად მოგიფიქრებია! (მომართავს ხალხს) ძმებო, აი, ამ ოქროთი სავსე ყუთს

ხომ ხედავთ? ამაში სამი ათასი ბაჯალლო ოქროა პოლონური მონეტებით. ვინც ეზოს ბოლოდან პირველი მოირბენს, მას შემდეგ, რაც შეჯიბრების დანყების ნიშნად ცხვირსახოცს დავიქნევ, სალაროც მისი იქნება. დანარჩენები კი, აი, ამ მეორე ყუთში რაც არის, იმას გაიყოფენ. აბა, თანახმა ხართ?

ყველა (ერთხმად) – ჰო, ჰო, გაუმარჯოს მამილო უბუს! რა კარგი მეფეა! ვენცესლასის მეფობის მერე, ასეთი აღარავინ მინახავს!

(ხალხი ეზოს ბოლოში იყრის თავს.)

მამილო უბუ (მხიარულად მიმართავს დედილო უბუს) – გეყურება, რას ამბობენ! ერთი, ორი, სამი, აბა ყველა მანდა ხართ?

ხალხი (ერთხმად) – დ-ი-ა-ხ! დ-ი ა-ხ!

მამილო უბუ – წინ!

(ხალხი ერთმანეთს ეჯახება, ისმის ყაყანი და შედახილები.)

კაპიტანი ბორღური – გვიახლოვდებიან! გვიახლოვდებიან!

მამილო უბუ – უჰ, პირველი ვინც იყო, ის ჩამორჩა!

დედილო უბუ – არა, ისევ დანინაურდა!

კაპიტანი ბორღური – ოჰ, ისევ ჩამორჩა!.. ჩამორჩა!.. სხვამ გადაუსწრო! (ვინც მეორე იყო, ის დანინაურდა.)

ყველა (ერთხმად) – ვაჰა, მიხეილ ფედოროვიჩს!

ვაშა, მიხეილ ფედოროვიჩს!

მიხეილ ფედოროვიჩი – სირ, არც კი ვიცი, თქვენს უდიდებულესობას მადლობა როგორ გადავუხადო!

მამილო უბუ – ოჰ, ეგ რა სახსენებელია! წაიღე ეგ სალარო შინ, მეგობარო! თქვენ კი, დანარჩენებმა, ის ყუთი გაიყავით. რიგრიგობით მიდით და სანამ გათავდება, თითო მონეტა ამოიღეთ.

ყველანი – ვაშა, მიხეილ ფედოროვიჩს! ვაშა, მამილო უბუს!

მამილო უბუ – თქვენ კი, მეგობრებო, სადილად გიწვევთ! დღეს ჩემი სახლის კარი თქვენთვის ღიაა. გთხოვთ, პატივი დამდოთ და მეწვიოთ!

ხალხი – შევიდეთ, შევიდეთ! გაუმარჯოს მამილო უბუს!

(ყველა სასახლეში შედის. იქიდან ნადიმის ხმა გამოდის, რაც დილამდე გრძელდება. ფარდა ეშვება.)

მეორე მოქმედების დასასრული

მესამე მოქმედება

სურათი I

მეფის სასახლე

დედილო უბუ, მამილო უბუ

მამილო უბუ – ჩემი მწვანე შანდლის მზემ, უკვე მეფე ვარ და ვუბრძანე, ჩემი რბილფარფლებიანი ქუდი მომართვან.

დედილო უბუ – რად გინდა? ჩვენ უკვე სულ თავში ვართ და ახლა მომჭირნეობა გვმართებს.

მამილო უბუ – ქალბატონო ჩემო ცოლო, ეს ქუდი ცხვრის ტყავისაა, თავისი ბალთითა და ძაღლის ტყავის თასმებით.

დედილო უბუ – მართლაც ძალიან კარგი რამაა, მაგრამ მეფობა კიდევ უფრო უკეთესია.

მამილო უბუ – ჰო, დედილო უბუ, რაც მართალია, მართალია!

დედილო უბუ – ლიეტუას დუკისგან ძალიან დავალებულნი ვართ.

მამილო უბუ – ეგ ვინ არის?

დედილო უბუ – ოჰ, ვინ არის და ბორდური!

მამილო უბუ – დედილო უბუ, თუ ღმერთი გწამს,

ეგ გაბლენძილი აღარ მიხსენო! ეგ მე აღარაფრად მჭირდება. თავში ქვა უხლია და მუცელში სამართე-ბელი! ვერც დუკობას და ვერც დუკის კუთვნილ ადგილ-მამულს ვერ ეღირსება.

დედილო უბუ – დიდ შეცდომას უშვებ, მამილო უბუ... იცოდე, მტრად გაგვიხდება.

მამილო უბუ – ვინ, ეგ ქვეშაფსია? რა ეგ და რა ბუგრელასი, სულ არ მენალვლება!

დედილო უბუ – გგონია, ბუგრელასი სამიში აღარ არის?

მამილო უბუ – იქნებ ფინანსურად!.. მაგ პატარა ლანირაკმა რა უნდა მიქნას?

დედილო უბუ – მამილო უბუ, ყური კარგად დამიგ-დე და დამიჯერე. ეცადე ბუგრელასს გული მოუგო და გადმოიბირო.

მამილო უბუ – კიდევ ფული გადავყარო? ეგ არ მოხდება! თქვენ მე ოცდაორი მილიონი წამგლიჯეთ.

დედილო უბუ – შეუშვი მაგ თავში, ცოცხლად შეგ-ბრანავს!

მამილო უბუ – შენც ჩემთან ერთად.

დედილო უბუ – ყური დამიგდე-მეთქი, კიდევ ერთხელ გეუბნები! ბორდური ჭაბუკ ბუგრელასს გად-მოიბირებს, მასზე დიდი გავლენა აქვს.

მამილო უბუ – უჰ, ეშმაკმა წაგილოს! ცუდი გავ-ლენა კარგი არ არის, არა? ოჰ, დედილო უბუ, თავი მომაბეზრე, ცოცხლად აგკუნავ!

(დედილო უბუ გარბის, უკან მამილო უბუ მისდევს.)

სურათი II

მოჩანს სასახლის დიდი დარბაზი, სადაც არიან

მამილო უბუ, დედილო უბუ, ოფიცრები და ჯარისკაცები, ჟირონი, პილი, კოტისი, კეთილშობილები (გაკოჭილები), ფინანსისტები, მსაჯულები და სასამართლოს მდივნები.

მამილო უბუ – მომართვით კეთილშობილების სალარო, მომართვით კეთილშობილთა დანა, მათი საბუთები და მერე ისინიც აქ მაახლეთ.

(კეთილშობილებს ქიმუნჯით მიერეკებიან.)

დედილო უბუ – თუ ღმერთი გნამთ, თავი შეიკავეთ, მამილო უბუ!

მამილო უბუ – პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ სამეფოს საკეთილდღეოდ, ყველა კეთილშობილს გავუფრავ და მათ ქონებას დავისაკუთრებ.

კეთილშობილები – რა საშინელებაა! აქეთ, ხალხო და ჯარისკაცებო!

მამილო უბუ – მომგვარეთ პირველი კეთილშობილი და გადმომეცით მისი სალაროს გასაღები. სიკვდილმისჯილებს ხაროსთან მივიყვანთ და მიწისქვეშეთში ჩავუძახებთ, სადაც ცოდვილთ განიკითხავენ. შენ ვინ ხარ, ოტროველა?

კეთილშობილი – ვიტებსკის კონტი.

მამილო უბუ – შემოსავალი რამდენი გაქვს?

კეთილშობილი – სამი მილიონი რიქსდალი.

მამილო უბუ – მოკალით!

(კავს მოდებენ და ხაროში აგდებენ.)

დედილო უბუ – რა სულმდაბლური სისასტიკეა!

მამილო უბუ – შემდეგო კეთილშობილო, შენ ვინ ხარ? (კეთილშობილი არ უპასუხებს.) მიპასუხე, ბრიყვო!

კეთილშობილი – პოზენის დიდი დუკი.

მამილო უბუ – ჩინებულია, ჩინებულია! ბევრს აღარ გალაპარაკებ. ხაროსთან!.. მესამე კეთილშობილო, შენ ვინ ხარ? ძალიან უჟმური სიფათი კი გაქვს.

კეთილშობილი – კურლანდიის დუკი, ქალაქებისა – რიგის, რიველისა და მიტანისა.

მამილო უბუ – კარგი, ძალიან კარგი! სხვა არაფერი ხარ?

კეთილშობილი – არა.

მამილო უბუ – მაშინ ხაროში უკარით თავი! მეოთხე კეთილშობილო, შენ ვინ ხარ?

კეთილშობილი – პოდოლის პრინცი.

მამილო უბუ – შემოსავალი რამდენი გაქვს?

კეთილშობილი – მე გავკოტრდი.

მამილო უბუ – ასეთი ცუდი ამბისთვის ხაროში უკარით თავი! (მეხუთე კეთილშობილს.) შენ ვინ ხარ?

მეხუთე კეთილშობილი – თორნის მარკგრაფი, პოლოკის მცველი.

მამილო უბუ – დიდი არაფერი. სხვა არაფერი გაქვს?

კეთილშობილი – ჩემთვის საკმარისია.

მამილო უბუ – სულ არარაობას მაინცა სჯობს. ხაროში უკარით თავი. რას წრუკუნებ, დედილო უბუ?

დედილო უბუ – ძალიან სასტიკად იქცევი, მამილო უბუ.

მამილო უბუ – ვერა ხედავ, ვმდიდრდები! ჩემი ქონების ჩამონათვალს მოგასმენინებ. მდივანო, ნაიკითხე, რა ქონებას ვფლობ!

მდივანი – კონტი სანდომირისა...

მამილო უბუ – სულელო, სამთავროებიდან დაინყე!

მდივანი – მთავარი პოდოლისა, დიდი დუკი პოზანისა და კურლანდიისა, კონტი სანდომირისა, ვიტეპსკისა, მცველი პოლოკისა, მარკგრაფი თორნისა.

მამილო უბუ – მერე?

მდივანი – სულ ეს არის.

მამილო უბუ – უჰ, რას მეუბნები? თუ ასეა, ნინ კეთილშობილნო და რადგანაც გამდიდრება ჯერ არ დამიმთავრებია, ყველა კეთილშობილს წირვას გამოვუყვან და ყველა ვაკანტური ქონება ჩემი იქნება. მიდით, მირეკეთ ყველა კეთილშობილი ხაროსთან (კეთილშობილებს ხაროსთან მირეკავენ). დაუჩქარეთ, ახლა ჩვენ კანონს აღვასრულებთ.

მრავალნი – ვნახოთ!

მამილო უბუ – ჯერ სამართალს შევცვლით, შემდეგ კი ფინანსებს მივხედავთ.

მსაჯულთა უმრავლესობა – ჩვენ ყველანაირი ცვლილების წინააღმდეგნი ვართ.

მამილო უბუ – ჯანდაბა, თუ ასეა, გასამრჯელოს ველარ მიიღებთ.

მსაჯულები – რით ვიარსებოთ? ჩვენ ღარიბები ვართ.

მამილო უბუ – თქვენი იქნება ჯარიმა, რომელსაც დააკისრებთ და სიკვდილმისჯილთა საქონებელი.

პირველი მსაჯული – საშინელებაა!

მეორე მსაჯული – სამარცხვინოა!

მესამე მსაჯული – წარმოუდგენელია!

მეოთხე მსაჯული – უმსგავსობაა.

ყველანი – ჩვენ უარს ვამბობთ გავასამართლოთ მსგავს ვითარებაში.

მამილო უბუ – ხაროსთან მსაჯულები!

(მსაჯულები ამოდ აპროტესტებენ.)

დედილო უბუ – ოჰ, რას სჩადი მამილო უბუ, ახლა ვინღა გაასამართლებს.

მამილო უბუ – ვინ და მე. ნახავ საქმე რა კარგად ნავა.

დედილო უბუ – ჰო, მაგას ნამდვილად ვნახავთ.

მამილო უბუ – კარგი, მორჩი ქაქანს! ბატონებო, ჩვენ ახლა ფინანსებს მივხედავთ.

ფინანსისტები – აქ შესაცვლელი არაფერია.

მამილო უბუ – რას ჰქვია, არაფერია! მე მსურს ყველაფერი შევცვალო. მინდა, შემოსავლის ნახევარი ჩემი იყოს.

ფინანსისტები – არცა რცხვენია!

მამილო უბუ – ბატონებო, ჩვენ დავუწესებთ ათ პროცენტს დაწესებულებებს, სავაჭროებსა და ინდუსტრიას; მესამედს დავანესებთ ქორწინებაზე, მეოთხედს კი გარდაცვალებაზე – თითოზე თხუთმეტ-თხუთმეტი ფრანკის ოდენობით.

პირველი ფინანსისტი – მამილო უბუ, ეს თავანკარა სისულელეა.

მეორე ფინანსისტი – ამას არც თავი აქვს და არც ბოლო!

მესამე ფინანსისტი – ყურში არ შეიშვება!

მამილო უბუ – თქვენ მე არაფრად მაგდებთ. ყველა ფინანსისტი ხაროსთან!

დედილო უბუ – რას შვრები, მამილო უბუ, ეგ რა მეფობაა? ასე ყველას ამონყვეტ.

მამილო უბუ – დასწყევლოს!..

დედილო უბუ – სადაც მეტი სამართალია, იქ მეტი ფულია.

მამილო უბუ – შენ ნუ გეშინია, ჩემო ტკბილო, ჩემი ფეხით დავივლი სოფლებს და გადასახადებს ავკრეფ.

სურათი III

გლების სახლი ვარშავის გარეუბანში.

გლებების თავყრილობა

ბლუხი (შემოდის) – დიდი ამბები მომაქვს. მეფე მკვდარია, ასევე დუკებიც; ჭაბუკი ბუგრელასი დედასთან ერთად მთებში გაიქცა და მეტიც, მეფის ტახტი მამილო უბუმ მიიტაცა.

მაორე ბლუხი – მე უფრო მეტს გეტყვით. კრაკოვიდან მოვდივარ და ჩემი თვალითა ვნახე, როგორ მოასვენებდნენ მოკლულ ხუთას დიდებულს და სამას მსაჯულს. ეტყობა აპირებენ გადასახადი გააორმაგონ და ხარკის ასაკრეფად მამილო უბუ თავისი ფეხით მოგვადგება.

ჟველანი – ღმერთო მაღალო, რა გვეშველება! მამილო უბუ ღვთის პირისგან გადავარდნილი ავაზაკია, მისი ოჯახობა კი, როგორც ამბობენ, ერთი უმსგავსი დედაკაცია.

ბლუხი – ყური დაუგდეთ, მგონი კარზე აკაკუნებენ.

ხმა (გარედან) – ჰეი, თქვენ, რქიანო ბრიყვებო, ჩემი სახელით, წმინდა იოანეს, წმინდა პეტრესა და წმინდა ნიკოლოზის სახელით, კარი გამიღეთ, გადასახადების ასაკრეფად მოვედი.

(კარი გაიღება და მამილო უბუ შემოდის, რომელსაც „ქვანვიების“ ლეგიონი ახლავს.)

სურათი IV

მამილო უბუ – თქვენში უხუცესი ვინ არის? (ერთი გლეხი მიეახლება.) შენ ვინ ხარ?

ბლეხი – სტანისლას ლეზინსკი.

მამილო უბუ – ძალიან კარგი, ბერიკაცო. ახლა ყური კარგად დამიგდე, თორემ ეს ბატონები ყურებს დაგაჭრიან. აბა, არ გესმის, რას გეუბნები?

ბლეხი – თქვენს უდიდებულესობას ჯერ არაფერი უთქვამს.

მამილო უბუ – ამას ჰქვია არაფერი, როცა ერთი საათია ენა არ გამიჩერებია! აბა, გგონია, აქ შარაზე სათევზაოდ მოვედი?

სტანისლასი – ეგ აზრადაც არ მომსვლია.

მამილო უბუ – მოკლედ, მოვედი რომ გითხრა, გიბრძანო, მიგითითო, რომ თუ გინდა თავი მხრებზე შეგრჩეს, სულ წვრილად ჩამოთვალე, რაც გაგაჩნია. აბა, ბატონო „ფულიგორიებო“, მოაგორეთ აქ ფულის ურიკა.

(მოაგორებენ ურიკას.)

სტანისლასი – რეგისტრის მიხედვით, ჩვენ მხოლოდ ორმოცდათორმეტი რიქსდალის გადახდა გვეკისრება, რაც უკვე გადავიხადეთ, ბარე ექვსი კვირის წინ, წმინდა მათეს დღესასწაულიდან.

მამილო უბუ – ალბათ, ასეც არის, მაგრამ მე ხელისუფლება შევცვალე და დავანესე, რომ საშემოსავლო წელიწადში ორჯერ გადაიხადოთ და სამჯერ, რაც იმის ზევით შემოგივათ.

ბლუხეპი – ბატონო უბუ, შეგვიბრალეთ, ჩვენ ღარიბი მოქალაქეები ვართ.

მამილო უბუ – არ მენალვლება, გადაიხადეთ!

ბლუხეპი – არ შეგვიძლია, უკვე გადავიხადეთ!

მამილო უბუ – ან გადაიხდით ან არა და, თქვენი საჩივრიანად და თავ-კისრიანად ჩავიჯიბავ. დალახვროს ეშმაკმა, იქნებ, მეფე ვარ!

ჰველანი – აჰა, ასეა საქმე?! იარაღი აისხით, ძმებო! გაუმარჯოს ბუგრელასს, ღვთით კურთხეულ მეფეს პოლონეთისას და ლიეტუისას!

მამილო უბუ – წინ, ბატონო ფინანსისტებო, ალასრულეთ რაც გევალებათ!

(იბრძვიან, სახლი დანგრეულია და მოხუცი სტანისლასი მინდორში მარტო გარბის. უბუ ფულის ასაკრეფად რჩება.)

სურათი V

დილეგი თორნის ციხესიმაგრეში

გაკოჭილი ბორდური, მამილო უბუ

მამილო უბუ – აბა, მოქალაქევე, ხედავ რა გამოვიდა, როცა მოინდომე შენი ვალი გადამეხადა და ამიჯანყდი, რომ არ მოვისურვე. აი, ამიტომაც გადევს ახლა ბორკილი. ეშმაკმა დალახვროს, ეს ისე მარჯვედ გავაკეთე, რომ შენც კი უნდა მოგწონებოდა.

ბორდური – ფრთხილად იყავით, მამილო უბუ, სულ ხუთი დღეა, რაც მეფე ხართ და იმდენი კაცი მოკალით, სამოთხეში ყველა წმინდანი შეძრწუნდებოდა! მეფისა და კეთილშობილთა სისხლი შურისძიებას ითხოვს და მათი ხმა შესმენილი იქნება.

მამილო უბუ – ეჰ, ჩემო კარგო, ენაზე ქალი არ გეკიდებათ. ეჭვიც არ მეპარება, აქედან თავის დაღწევას თუ მოახერხებთ, დიდ ჭირს გადამკიდებთ, მაგრამ თორნის საპყრობილეს მისთვის მიბარებული ერთი ღირსეული ჭაბუკიც კი არ გაუშვია და ამიტომ ძილი ნებისას გისურვებთ და გირჩევთ იმ ორ გადებულ ძელზე დაიძინოთ, რადგან აქ ვირთხებს დიდი ჩაფურზანა აქვთ ხოლმე გამართული.

(გადის. შემოდიან დარაჯები და ყველა კარს ურდულს გაუყრიან.)

სურათი VI

მოსკოვი. მეფის სასახლე

*იმპერატორი ალექსანდრე და მისი სამეფო კარი,
ბორღური*

ალექსანდრე – მაშ, ეს თქვენა ხართ ის უსინდისო ავანტურისტი, ვინც ჩვენი ბიძაშვილის ვენცესლასის მოკვდინებაში წილი ჩაიდო?

ბორღური – სირ, მომიტევეთ, მამილო უბუმ ჩემი ნების წინააღმდეგ ჩამითრია ამ შეთქმულებაში.

ალექსანდრე – ოჰ, ურცხვად ტყუით! თქვით, ჩემგან რას ელით?

ბორღური – მამილო უბუმ მიზეზად კონსპირაცია მოიძო და ციხეში გამომკეტა. მე გაქცევა მოვახერხე და ხუთი დღე და ხუთი ღამე სტეპებზე ცხენს შეუსვენებლად მოვაჭენებდი, რომ აქ მოვსულიყავი და შემწეობა მეთხოვა თქვენი მოწყალებისთვის.

ალექსანდრე – რას გვთავაზობ წინდად შენი ერთგულებისა?

ბორღური – ჩემს ერთგულ ხმალსა და ქალაქ თორის დეტალურ რუკას.

ალექსანდრე – ხმალს მივიღებ, მაგრამ წმინდა გიორგის სახელით გთხოვთ, ეგ რუკა დანვით. ღალატით მოპოვებული გამარჯვების ტვირთი არ მინდა.

ბორღური – ვენცესლასის ერთ-ერთი ვაჟი – ჭაბუ-

კი ბუგრელასი, ჯერაც ცოცხალია და ყველაფერს ვიღონებ, რომ ტახტზე დავსვა.

ალექსანდრე – რა ჩინი გქონდათ პოლონთ ჯარში?

ბორდური; – მე ქალაქ ვილნას დრაგუნთა მე-5 რაზმის მეთაური და მამილო უბუს სასარგებლოდ წამონყებული კამპანიის ხელმძღვანელი ვიყავი.

ალექსანდრე; – კეთილი, კაზაკთა მე-10 პოლკის უმცროსი ლეიტენანტი იქნები და ვაი, შენ ტყავს, თუ გვიღალატებ! კარგად თუ იბრძოლებ, შეგინყალებთ!

ბორდური – სირ, სიმამაცე არასდროს მაკლდა.

ალექსანდრე – კეთილი, მომწყდი თავიდან!

(ბორდური გადის.)

სურათი VII

უბუს სათათბირო დარბაზი

*მამილო უბუ, დედილო უბუ, ფინანსურ საქმეთა
მრჩეველები*

მამილო უბუ – ბატონებო, ვინცებთ თათბირს და შეეცადეთ, ყური კარგად დამიგდოთ და სიმშვიდე შეინარჩუნოთ. პირველ ყოვლისა, ფინანსებს მივხედავთ, მერე კი ვილაპარაკებთ პატარა მონეობილობაზე, რომელიც მე გამოვიგონე, რათა დარი იყოს და არ განვიმდეს.

მრჩეველი – ძალიან კარგი!

დედილო უბუ – რა სულელია!

მამილო უბუ – ქალბატონო თქვე ჩემისავ, ენა დამოკლეთ, თქვენ სულელურ გამობდომებს ველარ ავიტან. მოკლედ, როგორც გითხარით, ფინანსების საქმე ავად თუ კარგად, წინ მიიწევს. ყოველ ცისმარე გაქუცული ძაღლების ხროვა ქუჩაში გამოდის და საოცრებას სჩადის. საითაც კი გაიხედავ, ყველგან დამწვარ სახლსა და ჩვენი ფინანსური ტვირთის ქვეშ ოთხად მოკაკვულ ხალხს დაინახავ.

მრჩეველი – ახალი გადასახადები, ბატონო უბუ? ეგ საქმე წინ მიიწევს?

დედილო უბუ – სულაც არა. ქორწინების გადასახადმა სულ 11 სუ შემოიტანა და თანაც მამილო

უბუ ხალხს უკან დასდევს და ქორწინებას აძალეებს.

მამილო უბუ – ფინანასთა საქმეთა სანყაოვ, მე ყურები მაქვს, რომ გელაპარაკოთ და თქვენ პირი, რომ მომისმინოთ (იციინიან) უფრო სწორად, პირიქით! თქვენ მე მამბნევთ და თქვენი ბრალია, რომ სისულელეს ვამბობ, მაგრამ ჩემმა მზემ... (შემოდის მაცნე). კარგი, ეგ იქით იყოს, ეს ვინლაა? მოუსვი აქედან, ბრიყვო, თორემ ფეხქვეშ გაგიგდებ და ფეხებს ზედ დაგანყობ!

დედილო უბუ – ოჰ, აგე, გაიქცა, მაგრამ წერილი დატოვა!

მამილო უბუ – მოდი, წაიკითხე. ასე მგონია, ჭკუა სულ დავკარგე და კითხვაც კი აღარ ვიცი. წაიკითხე, ყბედი ბორდურისგან იქნება.

დედილო უბუ – სწორედაც!.. ინერება, რომ მეფემ კარგად მიიღო, რომ აპირებს სახელმწიფო ხელიდან გამოგაცალოს, ტახტი ბუგრელასს დაუბრუნოს და შენ მოგკლას.

მამილო უბუ – ვაი, ვუი, რა მეშველება! რა მეშველება! ასე მგონია, უკვე მოვკვდი. შე სანყალო, ჩემო თავო! ღმერთო, რა მეშველება!.. ის გულღრძო კაცი ჩამოვა და მომკლავს! წმინდა ანტონ და ყველა წმინდანნო, თქვენ დამიფარეთ! ფულს შემოგწირავთ და თქვენს სადიდებლად სანთლებს დაგინთებთ ღმერთო, რა მეშველება? (ტირის და ქვითინებს).

დედილო უბუ – საშველი მხოლოდ ერთია, მამილო უბუ!

მამილო უბუ – ეგ რა არის, საყვარელო?

დედილო უბუ – ომი!

ყველანი – მადლობა ღმერთს! აი, ვინ არის კეთილ-
შობილი!

მამილო უბუ – ჰოდა, კიდევ ერთ დარტყმას მივი-
ღებ!

პირველი მრჩეველი – სწრაფად გავიქცეთ და ჯარი
შევყაროთ!

მეორე მრჩეველი – და ცოცხლები შევკრიბოთ.

მესამე მრჩეველი – ზარბაზნები მოვამზადოთ და
კედლები გავამაგროთ.

მეოთხე მრჩეველი – ...და ფული წავიღოთ რაზმე-
ბისთვის.

მამილო უბუ – ე ე ე, ვერ მოგართვით! იცოდე,
მოგკლავ, მაგრამ ფულს არ მოგცემ. მე სხვას გთა-
ვაზობთ, ომისთვის მე ფული უკვე გავიღე და ახლა
ხარჯი უნდა ამინაზღაუროთ. კეთილი, ვიომოთ, რა-
ღაი ამ შარში თავი გავყავით, მაგრამ ჩემი მწვანე
შანდლის მზემ, ერთ სუსაც არ გავიღებთ.

ყველანი – გაუმარჯოს ომს!

სურათი VIII

ბანაკი ვარშავასთან

ჯარისკაცები და პალოტენები – გაუმარჯოს პოლონეთს! გაუმარჯოს მამილო უბუს!

მამილო უბუ – უჰ, დედილო უბუ, მომეცი ჩემი აბჯარი და ჩემი პატარა ხის ხმალი. იმდენი რამე ავისხი, ვინმე რომ დამედევნოს, ნაბიჯსაც ვერ გადავდგამ.

დედილო უბუ – ფიე, რა ლაჩარია!

მამილო უბუ – ოჰ, აი წყეული ხმალი, რომელიც საკუთარ თავს ემსახურება და ფული, რომელიც არაფერში გარგია. მე ჯერ მზად არა ვარ, რუსები კი უკვე კარს მომადგნენ და მომკლავენ!

ჯარისკაცი – სენიორ უბუ, აი, ორღესული სატყორცნი მახვილი!

მამილო უბუ – მე ყველას და ყველაფერს ეშვებითა და საჭრეთლით ვკლავ.

დედილო უბუ – რა ლამაზია ამ ბექთარსა და ჩაჩქანში. აბჯარასხმული გოგრა გეგონება.

მამილო უბუ – ახლა კი ცხენზე ავმხედრდები. ბატონებო, მომგვარეთ ჩემი ცხენი!

დედილო უბუ – მამილო უბუ, ის ცხენი შენ ვერ

გზიდავს. ხუთი დღეა არაფერი უჭამია და ცოტაც და, სული ამოხდება.

მამილო უბუ – ბარაქალა! მე დღეში 12 სუს ვიხდიდი მაგ ჯაგლაგის გამოსაკვებად და ახლა მეუბნები, ვერ გზიდავსო. თქვენ მასხრად მიგდებთ, თუ მქურდავთ? (დედილო უბუ განითლდება და თვალებს დახრის). მაშინ სხვა ცხენი მომგვარეთ! დასწყევლოს, ფეხით სიარულს არ ვაპირებ!

(მოგვრიან უზარმაზარ ცხენს.)

მამილო უბუ – ზურგზე დავადგები. ოჰ, არა, სჯობს გადავჯდე, თორემ ჩამოვვარდები (ცხენი ადგილიდან დაიძვრება.) ოჰ, გააჩერეთ! ოჰ, ღმერთო, აი ახლა ჩამოვვარდები და მოვკვდები!!!

დედილო უბუ – მართლა სულელია! უჰ, აი გაჩერდა! ...მაგრამ მინაზე ზღართან მივადინა.

მამილო უბუ – ჯანდაბა და დოზანა! ლამისაა სული ამომხდეს, მაგრამ ომში მივდივარ და ყველას გავუყუყავ. ვაი მას, ვინც სწორად არ მოიქცევა – ცხვირს მოვაჭრი, კბილებს დავაძრობ, ენას ამოვგლეჯ და ჯიბეში ჩავიდებ.

დედილო უბუ – წარმატებას გისურვებ, მამილო უბუ!

მამილო უბუ – ჰო, დამავინყდა მეთქვა, რომ დედოფლად დაგნიშნე, მაგრამ ჩემი ხარჯთაღრიცხვის წიგნი თან მიმაქვს და ვაი შენი ბრალი თუ ვნახე, რომ გამქურდე. დამხმარედ პალოტენ ჟირონს გიტოვებ. მშვიდობით, დედილო უბუ!

დედილო უბუ – მშვიდობით, მამილო უბუ, მეფე
ცოცხალი არ გაუშვა!

მამილო უბუ – დარდი ნუ გაქვს, ცხვირს მოვაჭრი,
კბილებს დავაძრობ, ენას ამოვგლეჯ და ყურებში
წვრილ ჩხირებს გავურჭობ.

(ჯარი დაფდაფების ბაგუნის თანხლებით დაიძვრე-
ბა.)

დედილო უბუ (მარტოა) – ახლა კი, რაღაი ის დიდი
რეგვენი თავიდან მოვიშორეთ, საქმეს მივხედოთ.
მოვკლათ ბუგრელასი და მთელი სიმდიდრე ჩავი-
ჯიბოთ.

მესამე მოქმედების დასასრული

მეოცხე მოქმედება სურათი I

*პოლონეთი. მეფეთა განსასვენებელი ვარშავის
საკათედრო ტაძარში*

დედილო უბუ – სად არის ის განძი? თვლები არ-
საიდან ელავს. არადა, ცამეტი დავთვალე, როდე-
საც დიდი ლადისლასის აკლდამის შემდეგ, კე-
დელს მივუყვებოდი. ახლა კი არაფერია. ალბათ,
რალაც მემლება. თუმცა, აი, აქ, ქვები ელავს. მიდი,
დედილო უბუ, ხელი გაანძრიე, ნუ შედრკები. ახლა
ეს ქვები ამოვადროთ. აი, აი, მეფის ძვლებს შო-
რის ოქრო ელავს. ყველაფერს თავი ჩვენს ჩანთაში
ვუკრათ! ...აჰ, ეს რა ხმა ისმის? ამ უძველეს თაღ-
ქვეშ ცოცხლებიც არიან? არა, არაფერია, დავუჩქა-
როთ, ყველაფერი ნავილოთ. ის ფული მზის გულზე
უკეთ იქნება, ვიდრე წინანდელ მეფისნულთა სამა-
როვნებში. ახლა ეს ქვა გადავნიოთ, რა ხდება? ისევ
ის ხმა ისმის. აქ თავს რალაც უცნაურად ვგრძნობ.
დანარჩენ ოქროს სხვა დროს ნავილებ, ხვალ ისევ
მოვალ.

ხმა (მოისმის ჟან სიგიზმუნდის აკლდამიდან) – ეგ
არ მოხდება, დედილო უბუ!

(თავზარდაცემული დედილო უბუ ნაძარცვი
ოქროიანად საიდუმლო კარიდან გარბის.)

სურათი II

ვარშავის მოედანი

ბუგრელასი და მისი პარტიზანები, ხალხი და ჯარისკაცები, შემდეგ მცველები, დედილო უბუ, პალოტენ ჟირონი

ბუბრელასი – წინ, მეგობრებო! გაუმარჯოს ვენცესლასს, გაუმარჯოს პოლონეთს! ბებერი არამზადა მამილო უბუ წასულია და სასახლეში მხოლოდ ის კუდიანი დედილო უბუ და მისი მცველი პალოტენით. წინ გაგიძღვებით და მამა-პაპათა გვარის უფლებებს აღვიდგენ.

ყველანი (ერთხმად) – გაუმარჯოს ბუგრელასს!

ბუბრელასი – იმ საშინელი მამილო უბუს დაწესებულ ყველა გადასახადს კი გავაუქმებთ!

ყველანი (ერთხმად) – ვაშაა! წინ! მივეხტეთ სასახლეში და წერტილი დავუსვათ ამ უსამართლობას!

ბუბრელასი – აგერ, დედილო უბუც გამოსულა პარმალზე თავისი მცველებით.

დედილო უბუ – რა გნებავთ, ბატონებო? ოჰ, ეს ბუგრელასია!

(ხალხი სასახლეს ქვებს დაუშენს.)

პირველი მცველი – ყველა კარი შემომატვრიეს!

მეორე მცველი – წმინდაო გიორგი, მეც მომწვდ-
ნენ!

მესამე მცველი – დასწყევლოს, ვკვდები!

ბუბრელასი – ქვები, ქვები დაუშინეთ, მეგობრებო!

პალოტან ჟირონი – ოჰ, საკმარისია! (იშიშვლებს
ხმალს და ირგვლივ ყველას ჩეხავს).

ბუბრელასი – ჩვენ ორნი შევებათ, პისტოლეტი გა-
დააგდე და თავი დაიცავი!

(იბრძვიან.)

ჟირონი – ვკვდები!

ბუბრელასი – ჩვენ გავიმარჯვეთ, ბატონებო! შეი-
პყარით დედილო უბუ! (ისმის დაფდაფების ხმა.) აი,
კეთილშობილებიც მოვიდნენ, გაეკიდეთ, შეიპყარით
წყეული კუდიანი!

ყველა – ჰო, სანამ იმ ბებერ ავაზაკს შევიპყრობ-
დეთ.

(დედილო უბუ, რომელსაც უკან მთელი პოლონეთი
მოსდევს, თავქუდმოგლეჯილი გარბის. ისმის თო-
ფის სროლა და ქვების ბაგუნი.)

სურათი III

პოლონეთის ჯარი უკრაინაში მიაბიჯებს.

მამილო უბუ – ჯანდაბა და დოზანა! ქაჯი და ემ-
მაკი! ცოტაც და სულიც ამოგვხდება, რადგან წყუ-
რვილი გვკლავს და დაღლილობისგან ქანცი გვაქვს
განყვეტილი. უფალო ჯარისკაცებო, კეთილი ინ-
ებეთ და ჩვენი ფინანსების ჩანთა და ურიკა თქვენ
წამოიღეთ! უფალო ლანსიე, გამომართვით ეს ოხ-
ერი ურო და კეტი, რომ სული მოვითქვა, რამეთუ,
ვიმეორებ – ჩვენ დავიღალეთ!

(ჯარისკაცები ემორჩილებიან.)

პილი – ჰმ, დიდო ბატონო, მა საკვირველი არ არის,
რო ე რუსები არსადა ჩანან?

მამილო უბუ – სამნუხაროა, რომ ჩვენი ფინანსები
საშუალებას არ გვაძლევს, ჩვენი აღნაგობის შესა-
ფერისი ეტლი გვექონდეს. იმის შიშით, რომ ცხენი არ
გადაგვეღალა, მთელი გზა აღვირით მოგვყავდა და
ჩვენ ფეხით მოვდიოდით. აი, პოლონეთში რომ დავ-
ბრუნდებით, ჩვენის განსწავლულობით ფიზიკაში
და ჩვენი ბრძენი მრჩევლების დახმარებით, ქარის
ეტლს გამოვიგონებთ მთელი ჯარის გადასაყვანად.

პოტისი – აგე, ნიკოლას რენსკი აქეთ მოიჩქარის.

მამილო უბუ – ეგ ყმანვილი აქ რას აკეთებს?

რენსკი – სირ, ყველაფერი დამთავრდა. პოლონე-

ლები აჯანყდნენ და ჟირონი მოკლეს, დედილო უბუკი მთებში გაიქცა.

მამილო უბუ – შე ლანირაკო, ჩხავანა ყვაავო, უბედურების მაუნყებლო ცხოველო, გეტრებიანო ბუ, რა ჭოტივით დამკივი? ეგ ამბავი საიდან მოგაქვს? ეგ ვინ ჩაიდინა? ნაძლევს ჩამოვალ, ბუგრელასმა... საიდან მოდიხარ?

რინსკი – ვარშავიდან, კეთილშობილო ბატონო!

მამილო უბუ – მე რომ შენ დაგიჯერო, გამოვა, რომ მთელ ჯარს გზა-კვლს ავუბნევ. საქმე ის არის, ბატონო ლანირაკო, მხრებზე ბალანი მეტი გაქვს, ვიდრე თავში ქკუა და სისულელეს ჩმახავ. მიდი, ბიჭუნა, წინა ხაზზე და ნახავ, რომ რუსები შორს არ არიან და ფინანსებისა და ფიზიკის ნაცვლად, იარაღის მომარჯვება მოგვინევს.

ბენერალი ლასკი – მამილო უბუ, ველზე რუსის ჯარს ვერ ხედავთ?

მამილო უბუ – მართლაც, რუსები არიან. კობტად გამომიჭირეს. გასაძრომი რომ იყოს სადმე... მაგრამ ნურას უკაცრავად, მწვერვალზე ვართ და ირგვლივ პირდაღებული უფსკრულებია!

ჰარისკაცი – რუსები! მტერი მოგვადგა!

მამილო უბუ – ნავიდეთ, ბატონებო, საბრძოლო პოზიციები დავიკავოთ. ჩვენ ამ გორაზე დავრჩებით და ბრყვეულად ძირს არ დავეშვებით. მე შუაში ციხე-ბურჯივით ჩაგიდგებით, თქვენ კი გარს შემომხევევით. გირჩევთ, თოფები ბოლომდე დატყენოთ, რადგან რვა ტყვია რვა რუსს მოკლავს და

მაშასადამე, ზურგს უკან ნაკლები მტერი მეყოლება. გორაკის ძირში, ქვემოთ, ვაჟკაცები ჩავამწკრივოთ, რომ რუსებს დახვდნენ და ცოტა შეათხელონ. მათ უკან ცხენოსნებს ჩავამწკრივებთ, რომ მტერი შედრკეს. მეზარბაზნენი კი ნისქვილს გარს შემოადგებიან და პირდაპირ დასცხებენ. ჩვენდა თავად კი, ქარის ნისქვილში ვიქნებით და მტერს მისი ფანჯრებიდან, ფინანსური პისტოლეტებიდან ტყვიას დავყრიით. კარს კეტს გავუყრიით და თუ ვინმე შემოსვლას გაბედავს, ის კეტი ხეირს არ დააყრის.

ოფიცერი – სირ უბუ, როგორც ბრძანეთ, ისე იქნება!

მამილო უბუ – ჰოდა, ყველაფერი კარგად მიდის, რომელი საათია?

ბენერალი ლასცი – დილის თერთმეტი საათია.

მამილო უბუ – თუ ასეა, ნავიდეთ და ვისადილოთ. რუსები შუადღემდე იერიშზე არ გადმოვლენ. ბატონო გენერალო, უთხარით ჯარისკაცებს საჭიროება მოიშორონ და ფინანსებზე სიმღერა შემოსძახონ.

ჯარისკაცები და პალოტინები – გაუმარჯოს მამილო უბუს, დიდ ფინანსისტს! ტრა-ლა-ლა! ტრა-ლა-ლა! ტრა-ლა-ლა! ტრა-ლა-ლა! ტრა-ლა-ლა!

მამილო უბუ – ოჰ, მაგარი ბიჭები არიან, ვალმერთებ ასეთებს. (რუსების ლოდსატყორცნიდან გამოსროლილი ლოდი ნისქვილს მოხვდება და ფრთას ჩამოტეხს.) ვაიმე! ღმერთო, მომკლეს! თუმცა არა, არაფერი დამშავებია.

სურათი IV

იგივენი, კაპიტანი, შემდეგ რუსული ჯარი

კაპიტანი (შემოდის) – ბ-ნო უბუ, რუსები გვიტევენ!

მამილო უბუ – ჰო, მაგრამ მე რა ვქნა? მე ხომ არ მითქვამს, შემოგვიტყუეთ-მეთქი! ასეა თუ ისე, ბ-ნო ფინანსისტებო, მოემზადეთ ბრძოლისთვის!

ბენერალი ლასცი – აგერ, მეორე ლოდიც ისროლეს!

მამილო უბუ – ოჰ, არა, ამას ვერ გავუძლებ! აქ ტყვიებისა და ლოდების წვიმა მოდის. ჩვენ ჩვენი უდიდებულესობის გაფრთხილება გვმართებს! სჯობს, ქვემოთ დავეშვათ (ჩადიან ქვემოთ ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ. ბრძოლა ცხარდება. უჩინარდებიან გორაკის ძირში არსებულ მღვიმეში, საიდანაც ორთქლი გამოდის.)

რუსი (ხმალს მოიქნევს) – ღვთისა და მეფის სახელით!

რენსკი – ოჰ, მომკლა!

მამილო უბუ – ნინ! ჰეი, შენ, ბატონო, ახლავე დაგიჭერ, რადგან ზიანი მომაყენე, გეყურება? ეგ ჩანთა მომეცი მაგ თოფიანად, რომელიც აღარ გაისვრის.

რუსი – ამას ხედავ? (ისვრის რევოლვერს.)

მამილო უბუ – ვაი! ვუი! დამჭრეს, გამხვრიტეს, დამაზიანეს, მიწაში ჩამდეს და მაინც... მიჭირავს (დაითრევს). აბა, ახლაცა სცადე!

ბენერალი ლასცი – წინ, მომყევით! ეს თხრილიც გადავლახოთ. ჩვენ გავიმარჯვებთ!

მამილო უბუ – ასე გგონია? ჯერჯერობით, დაფნის გვირგვინის ნაცვლად, თავზე კოპები მაზის!

რუსი მხედარი – ვაშა-ა-ა! მეფეს გზა მიეცით!

(შემოდის რუსეთის მეფე, რომელსაც გადაცმული ბორდური ახლავს.)

პირველი ჰოლონელი – ოჰ, ბატონებო, რუსის მეფე მოვიდა, ვისაც შეუძლია, თავს უშველოს!

მეორე ჰოლონელი – ოჰ, ღმერთო, თხრილზე გადმოდიან!

მესამე ჰოლონელი – ბახ-ბუხ და ამ მუტრუკმა ლეიტენანტმა უკვე ოთხი გააფართხალა.

ბორღური – ჰეი, მანდ, ენას არ გააჩერებთ? ოჰო, იან სობიესკი! აი, მიიღე! *(კლავს.)* ახლა სხვებსაც მივხედოთ *(მიმართავს მოსკოველებს.)* ჩვენ გავიმარჯვებთ, გაუმარჯოს წითელ არწივს!

ჰველანი – წინ!.. ვაშა-ა-ა! ფეხბედნიერად! შეიპყარით ეგ ოტროველა!

ბორღური – წმინდაო გიორგი, დამცეს!

მამილო უბუ *(იცნობს)* – ოჰო, შენ ხარ, ბორდურ? უჰ, რომ იცოდდე, როგორ მიხარია, რომ გიპოვე! მე

შენ ცეცხლზე შეგბრანავ. ბატონო ფინანსისტებო, ცეცხლი დაანთეთ! ვაი-ვუი, მომკლეს! სულ ცოტა, ერთი ყუმბარა მაინც მომხვდა!.. ოჰ, ღმერთო, შემინდე, რაც შეგცოდე. ჰო-ო, ეს ზარბაზნის გასროლა იყო.

ბორღური – დენით დატენილი პისტოლეტის ხმა იყო.

მამილო უბუ – ოჰ, ნუ დამცინი! აი, ისევ! ჯიბეში გიძევს!

(მივარდება და პისტოლეტს ჯიბიდან ამოართმევს.)

ბენერალი ლასცი – მამილო უბუ, ჩვენ ყველა მიმართულებით დავწინაურდით!

მამილო უბუ – ვხედავ, ძალა აღარა მაქვს. ფეხზე ვეღარა ვდგავარ. მინდა მიწაზე დავჯდე. ოჰ, ნეტავი ჩემი ბოთლი მომცა!..

ბენერალი ლასცი – წადით და მოსკოველების მეფის ბოთლი აიღეთ.

მამილო უბუ – ეჰ, აი, მოვდივარ! წყეულო ხმალო, მიდი და შენი ვალი შენც მოიხადე! ფინანსთა კაუჭო, უკან არ ჩამორჩე. დაე, დიდი ფიზიკური კეტი, უკუცემის კანონის თანახმად, ცოტა მაინც გაისარჯოს და მცირედით მაინც გავიზიაროთ პატივი მოსკოველების მეფის მოკვლისა, დამარხვისა ანდა დატყვევებისა. წინ, ბატონო ჩვენო ფინანსთა ცხენო! *(მიადგება მეფეს.)*

რუსი ოფიცერი – ფრთხილად, თქვენო უდიდებულესობავ!

მამილო უბუ – ერთი ამათ დამიხედეთ! ვაი!.. ვუი!..
ბოლოს და ბოლოს... ოჰ, ბოდიში, ბატონო! თავი
დამანებეთ!.. ოჰ, არა, სულაც არ მეჩქარება!

(გარბის, მეფე მისდევს.)

მამილო უბუ – ღმერთო, ეს ცოფიანი ისევ მომ-
დევს! ღმერთო, რა დაგიშავე? ჰო, წინ კიდევ ის
თხრილია. ოჰ, უკან ის მომდევს, წინ კი თხრილია!
მიდი, თვალი დახუჭე და ისკუპე!

(თხრილს გადაახტება, მეფე შიგ ჩავარდება.)

მეფე – თხრილში ჩავვარდი!

პოლონელები – ვაშა-ა-ა, მეფე თხრილშია!

მამილო უბუ – უჰ, ძლივს არ გადავრჩი! ყველაფე-
რი კარგად გამოვიდა და ახლა ზემოდან გადავუფ-
ლით. მიდით, პოლონელებო, ხელი ხელს ჩაჰკიდეთ
და გადაუარეთ! მაგარი ზურგი აქვს, სანყალს! მე
ვერ ვუყურებ. არადა, ჩვენი წინასწარმეტყველება
ბოლომდე ახდა. ფიზიკის კანონი პირუთვნელად
მოქმედებს და რომ არა ეს უცნაური შიში, რამაც
ჩვენი სიმამაცე გააცამტვერა, ჩვენ მას ხელში ვერ
ჩავიგდებდით. ჩვენ უნებლიეთ მოვაბრუნეთ კაზა-
კები ჩვენი მხედრების სიმამაცისა და ჩემი ცხენის
მაგარი მუხლის წყალობით, რომელიც აგრეთვე ფი-
ნანსებს ეკუთვნის და თხრილის სიღრმის წყალო-
ბითაც, სადაც, ჩვენი აქ მყოფი, ფინანსთა მეტრის
მტერი ჩავარდა. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მა-
გრამ ყურს არავინ მიგდებს. დახე, ყველაფერი თა-
ვიდან იწყება!

(რუსი დრაგუნები ერთმანეთს ჩაებმეებიან და მეფეს

თხრილიდან ამოიყვანენ.)

ბენერალი ლასცი – ახლა კი, ჰაიდა, აქედან სწრაფად მოვუსვათ!

მამილო უბუ – აი, ახლა კი შეგვიძლია თავს ვუშველოთ. ასე რომ, წინ, ბატონო პოლონელებო!.. უფრო სწორად კი, უკან!

პოლონელები – ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთ!

მამილო უბუ – აბა, ნავედით! ახლა გზას გავუდგეთ. რამდენი ხალხია! ამ ჯგლეთას თავი როგორ დავაღწიო? *(წინ ველარ მიდის.)* ჰეი, შენ ცოტა ფრთხილად, თუ არ გინდა ფინანსთა გამგებლის აფეთქებას ემსხვერპლო! უჰ, გამეცალა! ახლა კი, სანამ ლასცის დავუნახივართ, თავს ვუშველოთ!

(გადის. ამის მერე ჩაივლის მოსკოველების მეფე და მისი ჯარი, რომელიც პოლონელებს მისდევს.)

სურათი V

მღვიმე ლიეტუაში. თოვს.

მამილო უბუ, პილი, კოტისი

მამილო უბუ – უჰ, ასეთ ამინდში გარეთ ძაღლსაც არ გააგდებენ! ყინვა ქვას ხეთქავს და ფინანსთა გამგებელი ძალიან შეურვებულია.

პილი – ჰხმ!.. ჩემო ბატონო უბუ, შეეგუეთ შიშსა და განდევნას?

მამილო უბუ – ჰო, აღარ მეშინია, მაგრამ ისევ განდევნილი ვარ.

კოტისი (*იქით*) – რა ლორია!

მამილო უბუ – ჰეი, უფალო კოტის, თქვენი საქმე როგორღა მიდის?

კოტისი – ისე კარგად, ბატონო ჩემო, როგორც ხამს ნავიდეს, როცა ყველაფერი ძალიან ცუდად მიდის. ყალიბი დნება და ტყვიას ვერ ვასხამ.

მამილო უბუ – ჰო, კარგად კი ჩააგვირისტე. შენც ერთი სული გაქვს, ვინმე გაქელო, მაგრამ მე ყველაზე ნიჭიერი ვარ, რადგან ოთხი მტერი ჩვენივე ხელით თავიდან ისე მოვიშორეთ, თავზე ბენვიც არ შეგვრხევია. აღარაფერს ვამბობ იმათზე, ვინც უკვე მკვდარი იყო და ვისაც წირვა ჩვენ გამოვუყვანეთ.

კოტისი – პილ, ხომ არ იცით, რა მოუვიდა უმცროს რენსკის?

პილი – შუბლში ტყვია მიაჭედეს!

მამილო უბუ – როგორც მთიბავთა უმონყალო ცელი თიბავს ხოლმე ყაყაჩოსა და ბაბაუნვერას ქორფა ყვავილებს, უმცროს რენსკისაც მათი ბედი ენია. ის ძალიან კარგად იბრძოდა, მაგრამ რუსები ძალიან ბევრნი იყვნენ.

პილი და კოტისი – აუჰ, ბატონო!

ემო – ჰურრახ!

პილი – ეს რა ხმა იყო? მგონი, გვიჯობს, გუდა-ნაბადი ავიკრათ!

მამილო უბუ – ოჰ, არა, ნაძლევს ჩამოვალ, ისევ რუსები იქნებიან! ყელში ამომივიდნენ, საკმარისია! მაგათ გაბრიყვებას რა უნდა, ორ ნუთში ჯიბეში ჩავისვამ!

სურათი VI

იგივენი, გამოჩნდება დათვი

კოტისი – აუჰ, ბატონო ფინანსისტო!

მამილო უბუ – ოჰ, ერთი პატარა დათუნიაა! არა-
ფერს დაგვიშავებს, ნუ გეშინიათ!

პილი – ფრთხილად! აუჰ, რამხელაა! ვაზნები მო-
მეცით!

მამილო უბუ – დათვიო?! უჰ, რა შემზარავია! ვაი,
შე საბრალო ჩემო თავო!.. ახლა შეგეჭამს და შეგ-
ვახრამუნებს!.. თანაც ჩემკენ მოიწვეს! არა, კო-
ტისს მიადგა. უჰ, სული მოვითქვი... (დათვი კო-
ტისს დაეძგერება. პილი დათვს დანას ჩასცემს. უბუ
კლდის შვერილზე აცოცდება.)

კოტისი – აქეთ პილ, აქეთ! მოგვეშველეთ, ბატონო უბუ!

მამილო უბუ – თავს თვითონ მიხედე, მეგობარო!
ჩვენ ახლა „მამაო ჩვენოს“ ვამბობთ. ყველა თავის
წესსა და რიგზე შეიჭმევა.

პილი – ჩავავლე, მიჭირავს!

კოტისი – მიდი, ბოლო მოუღე, ძმაო, ჩემს შეჭმას
ცდილობს!..

მამილო უბუ – *Sanctificetur nomen tuum.*

კოტისი – ლაჩარო კაცო!

პილი – ოჰ, უკვე მჭამს! ოჰ, ბატონო უბუ, გვიშვე-
ლეთ, ვკვდები!

გამილო უბუ – *Fiat voluntas tua.*

კოტისი – უჰ, როგორც იქნა, დანა გავუყარე!

პილი – ვაშააა, სისხლისგან იცლება!

(პალოტენების ყვირილს ტკივილისგან გამწარებუ-
ლი დათვის ღმუილი ერთვის. უბუ ბუტბუტს განა-
გრძობს.)

კოტისი – გეჭიროს, რომ დანა მარჯვედ ჩავცე!

გამილო უბუ – *Panem nostrum quotidianum da nobis hodie.*

პილი – მიდი, მოუღე ბოლო, ველარ ვაკავებ!

გამილო უბუ – *Sicut et nos dimittimus debitoribus nostris.*

კოტისი – აჰა, გამომივიდა!

(დათვი მკვდარი დაეცემა.)

პილი და კოტისი – ვაშა-ა, გავიმარჯვეთ!

გამილო უბუ – *Sed libera nos a malo Amen!* მართლა
მკვდარია? ახლა შემძლია კლდიდან ჩამოვიდე?

პილი (ამრეზილი) – როცა ინებებთ!

გამილო უბუ (თან ჩამოდის) – შეგიძლიათ თავს მიუ-
ლოცოთ და უთხრათ, რომ თუკი სული ჯერ კიდევ
გიდგათ და ჯერაც შეგიძლიათ თოვლი გაქელოთ,

ამას თქვენს ფინანსთა გამგებელს უნდა უმადლოდეთ, ვინც უშურველად აღავლენდა „მამაო ჩვენოს“ და ისე თავდაუზოგავად შესთხოვდა უფალს თქვენს გამარჯვებას, რომ პალოტენ კოტისს დროულად მისცა მომაკვდინებელი დარტყმისთვის ძალი და შენევნა. ჩვენ უფრო მეტიც გავაკეთეთ, უკან არ დავიხიეთ და მამაცურად მივძვრებოდით კლდეზე სულ ზევით და ზევით, რათა ჩვენს ლოცვა-ვედრებას მალე მიეღწია ზეციური მამის ყურამდე.

პილი – ქოსატყუილა!

მამილო უბუ – აუჰ, რამხელა მხეცია! ჩემი წყალობით, საჭმელი იშოვეთ. რამხელა ფაშვი აქვს. ბერძნები ამის მუცელში უფრო ხალვათად იგრძნობდნენ თავს, ვიდრე იმ ხის ცხენში. ბენვზე გადავრჩით, რომ ჩვენი თვალით არ ვიხილეთ მისი შიგანი.

პილი – ვკვდები, ისე მშია! რა ვჭამოთ?

კოტისი – დათვი.

მამილო უბუ – თქვენ რა, მის შეჭმას უმად აპირებთ? ცეცხლს რითი დავანთებთ, რომ არაფერი გვაქვს?

პილი – ჩვენ ხომ კაჟიანი თოფები გვაქვს!

მამილო უბუ – მართლაც! თანაც მგონი შორიახლოს პატარა ქალაც მოჩანს, სადაც ხმელი ფიჩხი იქნება. ნადით და მოიტანეთ, ბატონო კოტის.

(კოტისი მიდის და თოვლს მიაღრღვევს.)

პილი – ახლა კი, ბატონო უბუ, მიდით და დათვი გაატყავეთ!

მამილო უბუ – ოჰ, არა! ვინ იცის, მკვდარიც კი არ არის... შენ მაინც დაგლეჯილი და ნახევრად შეჭმული ხარ და ეს საქმე შენი გასაკეთებელია. მე კი, სანამ კოტისი ფიჩხს მოიტანს, ცეცხლს გავაჩაღებ.

(პილი დათვს ატყავებს.)

მამილო უბუ – ფრთხილად, გაინძრა!

პილი – რას ამბობთ, სირ უბუ, უკვე ცივია.

მამილო უბუ – აფსუს, ჯობდა თბილ-თბილი შეგვეჭამა. ეს ფინანსთა გამგებლის უპატივცემულობაა!

პილი (იქით) – აღმამფოთებელია! (ხმამალლა) ცოტა ხელი წამაშველეთ, ბატონო უბუ, მარტო ვერ მოვერევი.

მამილო უბუ – არა, ვერ წაგაშველებ! ამას რა ლარი და ხაზი უნდა, რომ დავიღალე!

კოტისი (შემოდის) – უჰ, მეგობრებო, ისე ბარდნის, თავი კასტილიაში ანდა ჩრდილოეთ პოლუსზე გეგონება. უკვე ღამდება. ერთ საათში უკუნეთი ჩამონვება. სანამ ჯერ კიდევ სინათლეა, დავუჩქაროთ.

მამილო უბუ – ჰო, გეყურება პილ, დაუჩქარე. თქვენ, ორივემ, იჩქარეთ! მხეცი გაატყავეთ და შენვით, მომშივდა.

პილი – არა, ეს უკვე მეტისმეტია! ან ხელი გაანძრიე ანდა არაფერი გერგება. გეყურება, ნაგავო?

მამილო უბუ – ოჰ, ჩემთვის სულ ერთია, მე უმსაც გაეახლები. წაგებული ისევ თქვენ დარჩებით და თა-

ნაც ძალიან მეძინება.

კოტისი – მოეშვი, პილ! სადილი ჩვენ, მხოლოდ მე და შენ მოვამზადოთ. ამას არაფერი ერგება და სულ ეგ არის... ანდა მხოლოდ ძვლებს დაჯერდება.

პილი – ძალიან კარგი, აი ცეცხლიც გაჩაღდა.

მამილო უბუ – უჰ, რა კარგია! ახლა თბილა, მაგრამ ყველგან რუსებსა ვხედავ. ღმერთო დიდებულო, როგორ გარბიან! უჰ! (ძალაგამოცლილი დაეცემა.)

კოტისი – ნეტა თუ მართალია, რენსკიმ რომ თქვა, დედილო უბუ დედოფალი აღარ არისო? რა იცი, იქნებ ასეცაა? რა არ ხდება!

პილი – მოდი, საჭმელი მოვამზადოთ.

კოტისი – არა, უფრო მნიშვნელოვანი რამ გვაქვს გასარკვევი. მგონია, რომ კარგს ვიზამდით, თუ გავარკვევდით.

პილი – მართალი ხარ, გადავწყვიტოთ. მამილო უბუ მივატოვოთ თუ მასთან დავრჩეთ?

კოტისი – ღამე რჩევისთვის არის. ახლა დავიძინოთ და ხვალ ვნახოთ, როგორ ჯობს მოვიქცეთ.

პილი – არა, სჯობს ამაღამვე გავეცალოთ.

კოტისი – ჰოდა, წავიდეთ!

(გადიან.)

სურათი VII

უბუ ძილში ლაპარაკობს.

მამილო უბუ – ოჰ, ბატონო რუსო დრაგუნო, ცოტა ფრთხილად, აქ ნუ გაისვრით, ვერა ხედავთ, რომ აქ ხალხია. ოჰო, ბორდურიც აქ ყოფილა... ისეთი ავია, დათვი გეგონება. აგერ, ბუგრელასიც აქ არის და მიტევს... არიქა, დათვი! დათვი! ოჰ, აი იქ, ქვემოთ... ღმერთო, რა მძიმეა... არა, მე ხელსაც არ გავანძრევ!.. არ მინდა!.. ბუგრელას, თავიდან მომწყდი, არ გესმის, ბრიყვო!.. ახლა კიდევ რენსკი გამოტყვრა და კიდევ ის რუსი მეფე!.. ოჰ, ჩემი განადგურება უნდათ... აგე, დედილო უბუ... ეგ ამოდენა ოქრო საიდანა გაქვს? წყეულო, ჩემი ოქრო წამართვი?.. ჩემს აკლდამაში იქექებოდი... მთავარ ტაძარში, ვარშავაში, ლუნას გვერდით რომ არის... მე დიდი ხნის წინ მოვკვდი. ბუგრელასმა მომკლა და ვარშავაში დამკრძალებს დიდი ვლადისლასის გვერდით და კიდევ კრაკოვში, ჟან სიგიზმუნდისა და კიდევ, თორნში – ბორდურთან ერთად, ძვალთშესალაგში... აი, ისევ... გეყურება, წყეულო დათვო... ბორდურსა ჰგავხარ... არ გეყურება, შე წყეულო?.. არა, არ ეყურება, იმ ოხრებმა აკი ყურები ჩამოათალებს... გაცურება, არევ-დარევა, ყურების ჩამოთლა, ფულის ახევა და უგონოდ დათრობა – აი, ასეთია ტილიანების ცხოვრების წესი, – ასეთია ფინანსთა გამგებლის ბედნიერება.

(გაჩუმდება და ღრმად იძინებს.)

მეოთხე მოქმედების დასასრული

მეხუტე მოქმედება სურათი I

ღამეა, მამილო უბუს ძინავს.

შემოდის დედილო უბუ, რომელიც მას ვერ ხედავს.

სრული წყვილია.

დედილო უბუ – აი, უფსკრულის პირას ვდგავარ...
სულ მარტო ვარ. ეს დიდი უბედურება არ არის,
მაგრამ ოთხ დღეში მთელი პოლონეთი გამოვიარე
და ყველა ქირი თავს ერთად დამატყდა. ის-ის იყო,
ჩემი გულნამცვეცა მუტრუკი თავიდან მოვიშორე და
გასამდიდრებლად აკლდამას მივაკითხე, რომ თავს
ბუგრელასი და მისი მომხრეები დამატყდნენ. დავ-
კარგე ჩემი რაინდი – პალოტენ ჟირონი, რომელსაც
ისე ვუყვარდი, ჩემს დანახვაზე სანთელივით დნე-
ბოდა და როგორც მარწმუნებენ, მაშინაც კი, როცა
ვერ მხედავდა, რაც სინაზის უმაღლესი მწვერვა-
ლია. საბრალო ბიჭი, ჩემი გულისთვის მზად იყო,
რომ შუა გაეპოთ და გააპო კიდევ ბუგრელასმა,
ოღონდ ოთხად. სხაპ-სხუპ და მორჩა! ოჰ, მეგონა
მოვკვდებოდი. მერე გავიქეცი, უკან კი გავეშებული
დედაკაცების ბრბო მომდევა. სასახლე დავტოვე
და ვისტულთან ჩავედი. ყველა ხიდთან მცველები
იდგნენ. მდინარე გადავცურე იმ იმედად, რომ ჩემს
მდევრებს კვალს ავუბნევი. ყველა ქვეყნის კეთილ-
შობილი ქალბატონები შეყრილიყვნენ და განრისხე-
ბულები მომდევდნენ. თვლა არა აქვს, კუთხეში

მომწყვდეული, ხელიდან რამდენჯერ დავუძვერი. ოთხი დღე პირში ლუკმა არ ჩამიდია, ყლუპი წყალი არ დამილევია. დადლილობისა და სიცვივისაგან ლამის სული ამომხდეს. ახლა ძალიან მინდა გავიგო რა ბედი ეწია ჩემს ყბედ რეგვენს. მინდოდა მეთქვა, ჩემს ღირსეულ მეუღლეს-მეთქი. მე ხომ მისი ფული ავიღე, ის რიქსდალები აკი მას მოვპარე. ვატყუებდი და ვცინცლავდი ხოლმე. მის ფინანსთა ცხენსაც შიმშილისგან სული ხდებოდა. ის საწყალი თივას ყოველდღე ვერ იღებდა. აჰ, კარგი რამ იყო! ვაი, რომ ჩემი განძი დავკარგე! ვარშავაში დარჩა. ნადით და მოძებნეთ ვისაც გინდათ.

მამილო უბუ (იღვიძებს) – დაიჭირეთ დედილო უბუ, ყურები დააჭერთ!

დედილო უბუ – ოჰ, ღმერთო, სადა ვარ? თავგზა ამებნა. ოჰო, ჩემი ბატონი აქ ყოფილა! მადლობას ვწირავ მამაზეციერს, რომ ისევ ვხედავ ბატონ მამილო უბუს, რომელსაც ჩემ გვერდით ძინავს. გამოვიჩინოთ თავაზიანობა. აბა, ჩემო ჩასუქებულო, კარგად გეძინა?

მამილო უბუ – ძალიან ცუდად. დათვი ისეთი მძვინვარე იყო! გაუმადღრობა მაგარს შეეჭიდა და ბოლომდე მოინელა, რასაც თქვენი თვალით იხილავთ, როცა გათენდება. გესმით, კეთილშობილო პალოტენებო?

დედილო უბუ – რას ბოდავს? მას შემდეგ, რაც იქიდან წამოვიდა, კიდე უფრო გამოტვინებულა. ნეტა, აქ ვისთან იყო?

მამილო უბუ – კოტის, პილ, ხმა გამეცით, ნეხვის

ტომრებო! სად ხართ? ოჰ, მეშინია. მაგრამ ვილაც ლაპარაკობდა. ვინ ლაპარაკობდა? არა მგონია, დათვი ყოფილიყო. ჯანდაბას, სად არის ჩემი სანთებელა? ოჰ, აკი ბრძოლაში დამეკარგა.

დედილო უბუ (იქით) – ვისარგებლოთ გარემოებით და იმით, რომ ლამეა, თავი ზებუნებრივ არსებად მოვაჩვენოთ და პირობა დავადებინოთ, რომ ჩვენს ცუდლუტობას გვაპატიებს.

მამილო უბუ – წმინდაო ანტონ, შენ დამიფარე! ვილაც ლაპარაკობს. დასწყევლოს, ასეა, თუნდაც ჩამომკიდონ!

დედილო უბუ (ხმამალლა) – დიახ, ბატონო უბუ, მართლაც ლაპარაკობს და მთავარანგელოზის ბუკი და ნალარა, რამაც მიცვალებულები საფლავიდან უნდა წამოაყენოს, სხვაგვარად ვერ ილაპარაკებს. შეისმინეთ მისი მკაცრი სიტყვა. წმინდა გაბრიელი მხოლოდ კეთილ რჩევას იძლევა!

მამილო უბუ – ჰო, ეგ მართალია!

დედილო უბუ – ნუ მანყვეტინებთ, თორემ გავჩერდები და ეს ცოდვა თქვენ დაგანვებათ.

მამილო უბუ – ოჰ, ჯანდაბა! აი, ჩუმად ვარ და კრინტსაც არ დავძრავ. განაგრძეთ, ქალბატონო ხილვაე!

დედილო უბუ – ჩვენ ვამბობთ, ბ-ნო უბუ, რომ თქვენ ძალიან დიდი კაცი იყავით.

მამილო უბუ – ჰო, ძალიან დიდი... მართლაც! რაც მართალია, მართალია!..

დედილო უბუ – ინამეთ ღმერთი და გაჩუმდით!

მამილო უბუ – ოჰ, ანგელოზები არ იფიცებთან!

დედილო უბუ (იქით) – დასწყევლოს! (განაგრძობს ლაპარაკს) თქვენ დაქორწინებული იყავით, ბატონო უბუ.

მამილო უბუ – მართალსა ბრძანებთ, პირნავარდნილ როკაპზე!

დედილო უბუ – იმის თქმა გინდათ, რომ მომხიბლავი ქალია.

მამილო უბუ – საშინელი დედაკაცია, ისეთი ეკლიანი, ვერსაიდან მიუდგები.

დედილო უბუ – გული ტკბილი სიტყვით მოუგეთ, ბატონო უბუ და ნახავთ, რომ კაპუის ვენერას დაედრება.

მამილო უბუ – თქვენც იტყვით რაა, ის ტილიანი?!

დედილო უბუ – ბ-ნო უბუ, თქვენ მე ყურს არ მიგდებთ. ეცადეთ უფრო ყურადღებით მომისმინოთ. თქვენი ცოლი მომხიბლავი, ღვთაებრივი და უნაკლო ქალია.

მამილო უბუ – ცდებით, რაც კი ნაკლია, ყველაფერი აქვს.

დედილო უბუ – ჩუმად-მეთქი! თქვენს ცოლს თქვენთვის ერთხელაც არ უღალატია!

მამილო უბუ – ნეტა, იმას ვინ შეიყვარებდა, პირნავარდნილი როკაპია!

დედილო უბუ – თქვენი ცოლი არ სვამს.

მამილო უბუ – ეგ მას შემდეგ, რაც სარდაფის გასაღები ჩამოვართვი. მანამდე, დილის შვიდ საათზე უკვე მოთავებული იყო და არყის სუნად ყარდა. ახლა ჰელიოტროპს ისხამს და ცუდი სუნი აღარ ასდის. ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ ახლა მხოლოდ მე ვიბრუყები.

დედილო უბუ – მოქმედი პირი სულელია! – თქვენს ცოლს თქვენი ერთი ოქროც არ აუღია.

მამილო უბუ – ნუ მაცინებთ!

დედილო უბუ – ერთი სუც არ აუღია!

მამილო უბუ – ამის მონმე, ჩემო კეთილშობილო ბატონო, ჩემი საბრალო ფინანსთა ცხენია, რომელსაც სამი თვე არაფერი უჭამია, რომელიც მთელი უკრაინა აღვირით მომყავდა და ასე თრევა-თრევაში, საბრალო ცხოველს სული ამოხდა.

დედილო უბუ – ეგ სულ ტყუილია, თქვენი ცოლი სრულყოფილი ქალია, თქვენ კი მას ურჩხულად სახავთ!

მამილო უბუ – მე სიმართლეს ვამბობ. ჩემი ცოლი ნამდვილი კახპაა, თქვენ კი ანგელოზად გამოგყავთ.

დედილო უბუ – ფრთხილად, მამილო უბუ!

მამილო უბუ – უჰ, მართლაც, სულ დამავინყდა ვის ველაპარაკები. არა, არა, მე არაფერი მითქვამს.

დედილო უბუ – თქვენ ვენცესლასი მოკალით.

მამილო უბუ – ეგ ჩემი ბრალი არ არის. მე, რა თქმა უნდა, არაფერ შუაში ვარ. დედილო უბუს ასე უნდოდა.

დედილო უბუ – თქვენ მოაკვლევინეთ ბოლესლასი და ლადისლასი.

მამილო უბუ – ჰოდა, ახიცი იყო! ჩემი გაქელვა მოი-სურვეს!

დედილო უბუ – თქვენ ბორდურს პირობა მიეცით, მაგრამ სიტყვა გატეხეთ და მერე მოაკვლევინეთ კიდეც!

მამილო უბუ – მერჩინა, ლიეტუაში ის კი არა, მე გავმეფებულიყავი. ახლა იქ არც ერთი ვართ და არც მეორე. როგორც ხედავთ, მე არაფერ შუაში ვარ.

დედილო უბუ – თქვენ მიჩვეული ხართ, თავს ყვე-ლა ცოდვა აპატიოთ.

მამილო უბუ – რა ცოდვა? მე მზად ვარ წმინდანი გავხდე. მინდა, ეპისკოპოსი ვიყო და ჩემი სახელი კალენდარზე ვიხილო.

დედილო უბუ – დედილო უბუს უნდა მიუტევოთ, რომ ორიოდე გროში დაგიმაღათ.

მამილო უბუ – კეთილი, ვაპატიებ, როდესაც ყველაფერს დამიბრუნებს და ჩემს ცხენს მკვდრე-თით აღადგენს.

დედილო უბუ – ეს ცხენი რა გაუხდა! ოჰ, დავილუ-პე, უკვე თენდება!

მამილო უბუ – კარგია. ბოლოს და ბოლოს გავიგე,

რომ ჩემი ძვირფასი ცოლი მძარცვავდა. ახლა ეს სანდო წყაროდან ვიცი. *Omnis a Deo scientia*, რაც ნიშნავს ყველაფერი ღვთისგან გვეძლევა. აი, ეს არის ამ მოვლენის განმარტება. მაგრამ ქალბატონი ხილვა არაფერს ამბობს. რა ვუთხრა ისეთი, რომ გუნება გამოუკეთდეს. ის, რაც მითხრა, ძალიან სასაცილო იყო. დახე, გათენებულა! ოჰ, ღმერთო, არა, ჩემს ფინანსთა ცხენს გეფიცებით, ეს დედოფალი უბუა!

დედილო უბუ (დამფრთხალია) – მე თქვენ ეკლესიისგან განგკვეთთ!

მამილო უბუ – ოჰ, შე დამპალო!

დედილო უბუ – რა მკრეხელობაა!

მამილო უბუ – არა, მეტისმეტია! მშვენივრად ვხედავ, რომ ეს შენა ხარ, უტვინო კუდიანო! აქ რა ჯანდაბა გინდა?

დედილო უბუ – ჟირონი მოკლეს და პოლონელებმა გამომაძევეს.

მამილო უბუ – მე კი რუსებმა დამიფრინეს. ჭკვიანები ერთმანეთს შეხვდნენ.

დედილო უბუ – უფრო სწორად, ჭკვიანი ოჩან ვირს შეხვდა.

მამილო უბუ – ახლა ფეხაპკიანს შეხვდები.

(ესვრის დათვის ლეშს.)

დედილო უბუ (დათვის უკანა თათებზე აღმოჩნდება) – ოჰ, ღმერთო, რა საშინელებაა! ოჰ, ვკვდე-

ბი! სუნთქვა მეკვრის! მჭამს, მხრავს, მგლეჯს!

მამილო უბუ – მკვდარია, სულელი! ოჰ, კაცმა რომ თქვას, იქნებ არც არის! ოჰ, ღმერთო, არ მომკვდარა! ჩქარა, თავს ვუშველო! (ისევ აძვრება კლდის შვერილზე) მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა...

დედილო უბუ (გამოძვრება დათვის ფეხებიდან) – სად გაქრა?

მამილო უბუ – ოჰ, ღმერთო, აი, ისევ! ნუთუ თავიდან ვერაფრით მოვიშორებ? ეგ დათვი მკვდარია?

დედილო უბუ – ჰო, მკვდარია, სულელი, ცივია. აქ საიდან გაჩნდა?

მამილო უბუ – მე რა ვიცი!.. ჰო, კი ვიცი! პილისა და კოტისის შექმა უნდოდა და ერთი Pater Noster-ით მოვკალი.

დედილო უბუ – რა პილი და კოტისი, რა Pater Noster-ი? ჩემო ფინანსთა გამგევ, სულ გააფრინე?

მამილო უბუ – სწორედ იმას გეუბნები, რაც მოხდა. შენ კი სულელი ხარ, ჩემო ჯუჯულა!

დედილო უბუ – მომიყევი როგორ იომე.

მამილო უბუ – ოჰ, დასწყევლოს, არა! ეგ გრძელი ამბავია. რასაც ნყალი არ გაუვა, ის არის, რომ მიუხედავად ჩემი უმაგალითო სიმამაცისა, ყველამ მე გადამთელა.

დედილო უბუ – როგორ, პოლონელებმაც?

მამილო უბუ – ვენცესლასს და ბუგრელასს გაუმარ-

ჯოსო, გაჰყვიროდნენ. მზად იყვნენ, ჩემთვის ყელი გამოეჭრათ. ოჰ, ცოცხლად შემჭამეს! მერე კი რენსკი მოკლეს!

დედილო უბუ – ეგ არ მენაღვლება! შენ იცი, რომ ბუგრელასმა პალოტენ ჟირონი მოკლა!

მამილო უბუ – ეგ არ მენაღვლება! და მერე მათ სანყალი ლასცი მოკლეს!

დედილო უბუ – ეგ არ მენაღვლება!

მამილო უბუ – ოჰ, შე ძუკნავ, მიუხედავად ამისა, მაინც აქ მოხვედი! დაუჩოქე შენს ბატონს (*ხელს სტაცებს და დააჩოქებს*), ბოლო სურვილი თქვი!

დედილო უბუ – ოჰ, ოჰ, ბატონო უბუ!

მამილო უბუ – მორჩი ვაი-ვიშს! აბა, გაათავე? მაშინ ვინყებთ ცხვირის მოჭრა, თმების დაპუტვა, ყურებში ჩხირის გაყრა, ტვინის ნაწილ-ნაწილ ანდა მთლიანად გამოცლა, უკანალის ნაწილობრივ ან მთლიანად შემუსვრა (*თუკი ეს სასჯელი, სხვა თუ არაფერი, აშარ გუნებას შეუცვლის!*), ოღონდ ისე, რომ თავის შარდის ბუშტს არ დაავინყებს და სულ ბოლოს, წმინდა ჟან-ბატისტის მიერ აღდგენილი, თავის მოკვეთა. ყველაფერი ამოღებულია „წმინდა წერილიდან“, ძველიდანაც და ახლიდანაც, რომელიც მონესრიგებული, შესწორებული და აღიარებულია აქ მყოფი, ფინანსთა დიდი გამგებლისგან. აბა, როგორ მოგნონს? (*ანჯღრევს*.)

დედილო უბუ – შემიბრალე, ბატონო უბუ!

(*მღვიმის შემოსასვლელთან დიდი ხმაურია.*)

სურათი II

იგივენი. ბუგრელასი თავის ჯარისკაცებთან ერთად შემოიჭრება მღვიმეში.

ბუბრელასი – წინ, ძმებო! გაუმარჯოს პოლონეთს!

მამილო უბუ – ოჰ, ოჰ, ცოტა ხანს მაცალეთ, ბატონო პოლონელო, სულ ცოტა ხანს, სანამ ჩემს ქალბატონს გავუსწორდები!

ბუბრელასი (თან ურტყამს) – მიიღე შე ლაჩარო, შე უნამუსო, შე ურჯულო!

მამილო უბუ (სხაპასხუპით) – აი, მიიღე, პოლონელო, ტურტლიანო, ლოთო, ნაბიჭვარო, გლეხუჭა, ჰუსარო, ტარტაროზო, უნდილო, უგემურო, მახეზლარა, სავოელო, კომუნარო!

დედილო უბუ (სხაპასხუპით) – აი, მიიღე! ღორო, თაღლითო, ქურდბაცაცა, მოღალატე!

(ჯარისკაცები ალყაში მოაქცევენ უბუებს, რომლებიც რაც ძალი და ღონე აქვთ, თავს იცავენ.)

მამილო უბუ – ღმერთო, ამდენი სად შეიყარა!

დედილო უბუ – ბატონ პოლონელებს ფეხები აქვთ.

მამილო უბუ – ჩემი მწვანე შანდლის მზეს ვფიცავ, ბოლოს და ბოლოს, მორჩებით თუ არა! აი, კიდევ... უჰ! უჰ! ახლა რომ ჩემი ცხენი მომცა!..

ბუმბრელასი – მიდით, მიაყარეთ, არ გაჩერდეთ!

ბარედან ისმის შიშხილი – გაუმარჯოს მამილო უბუს, ჩვენს დიდ ფინანსისტს!

მამილო უბუ – უჰ, როგორც იქნა! ვაშა, მოვიდნენ მამილო უბუები. წინ, ბატონო ფინანსისტებო, მე თქვენ მჭირდებით!

(შემოდიან პალოტენები და მივარდებიან პოლონელებს.)

კოტისი – გაყარეთ პოლონელები!

პილი – ოჰ, ვნახოთ, ვინ ვის გაყრის, ბატონო ფინანსისტებო! შეუთიეთ და რაც ძალი და ღონე გაქვთ, დასცხეთ, გაყარეთ, გარეთ გაუძახეთ და თავს უშველიან!

მამილო უბუ – ოჰ, ეს ჩემზე ღონიერია! როგორ მირტყამს!

ბუმბრელასი – ღმერთო, დამჭრეს!

სტანისლას ლეზინსკი – ცუდად ხართ, სირ?

ბუმბრელასი – არა, მხოლოდ თავბრუ დამესხა!

იან სოპიუსკი – დასცხეთ! დასცხეთ და არ გაჩერდეთ! გასასვლელისკენ მიდიან, ლაჩრები!

კოტისი – ვუახლოვდებით... ხალხს მივყვეთ. უკვე ცას ვხედავ.

პილი – გამაგრდით, მამილო უბუ!

მამილო უბუ – ოჰ, ჩავისვარე! წინ, გარემარბებო!
მისცხეთ, დააყარეთ, გაჟლიტეთ, უბუს გაფიცებთ!
ოჰო, შეთხელდნენ!

კოტისი – კარს ორილა იცავს.

მამილო უბუ (მცველებს დათვივით დატორავს) –
ეს ერთი და ესეც მეორე! ოჰ, როგორც იქნა, გა-
მოვედით! ახლა თავს ვუშველოთ! აბა, ცოცხლად,
გაქცეულებს უკან მივყვეთ და არ ჩამოვრჩეთ!

სურათი III

მოჩანს თოვლით დაფარული ლივონიის პროვინცია.

შემოდიან უბუ და გამოქცეულები.

მამილო უბუ – უპ, იმედია ხელი აიღეს და აღარ მოგვდევენ.

დედილო უბუ – ჰო, ბუგრელასი გვირგვინის დასადგმელად გაემგზავრა.

მამილო უბუ – სულ არა მშურს მაგისი გვირგვინი.

დედილო უბუ – მართალი ხარ, მამილო უბუ.

(გზას გააგრძელებენ და თვალს მიეფარებიან.)

სურათი IV

ბალტიის ზღვაში, ნაპირთან ახლოს მიცურავს ხომალდი, გემბანზე მამილო უბუ და მისი ავანჩავანები არიან.

მეითაური – ოპ, რა მშვენიერი ბრიზი უბერავს.

მამილო უბუ – მართლაც, საოცრად სწრაფად მივცურავთ. ალბათ საათში, სულ ცოტა, ათას კვანძს მაინც ვაკეთებთ და ეს კვანძები იმით არის კარგი, რომ არ იხსნება. რაც მთავარია, ზურგქარი გვაქვს.

პილი – რა მოსაწყენი რეგენია!

(ნაპირიდან ბრიზი უბერავს. ხომალდი გვერდზე წვება და ტალღებს აქაფებს.)

მამილო უბუ – უჰ!.. ოჰ!.. ახლა გადავყირავდებით! შენი გემი გარდიგარდმო მიდის... ახლა ავყირავდებით!..

მეთაური – ყველანი გემბანზე!.. დიდი ანძის გარშემო დადექით!

მამილო უბუ – ოჰ, არა! აბა, რას ამბობთ?! ყველას ერთ მხარს ნუ აყენებთ! ეს წარმოუდგენელია!.. ქარმა რომ მიმართულება შეიცვალოს, ყველანი ჩაიძირებით და თევზები შეგვჭამენ!

მეთაური – ფეხი არავინ მოიცვალოს და რაც შეიძლება შემჭიდროვდით!

მამილო უბუ – კი, კი, მოიცვალეთ! აქ მოდით! ჩქარა-მეთქი, თქვენ გეუბნებით! შე რეგენო კაპიტანო, იცოდე, სულ შენი ბრალი იქნება თუ იქვერ მივალთ, სადაც უნდა მივიდეთ. ოჰ, ოჰ, ასე არაფერი გამოვა! თვითონ ვუმეთაურებ! აბა, მოუხვიე! ოჰ, ღმერთო, გამოდის!.. დასველდით, ქარს პირისპირ შეებით! ახლა უკან მოექეცით! გაშალეთ აფრები! დაუშვით აფრები!.. საჭე მარცხნივ!.. საჭე მარჯვნივ!.. აი, ხომ ხედავთ, ყველაფერი რა კარგად გამოდის. ახლა ტალღა გააპეთ და ყველაფერი ჩინებულად იქნება.

(ყველაფერი ირყევა, ბრიზი ძლიერდება.)

მეთაური – მოიტანეთ ძელი და საბელი!

მამილო უბუ – ურიგო არ არის, ეგ კი არა, სულაც კარგია! გეყურებათ, ბ-ნო ეკიპაჟის ნევრებო? კარგი სადღილი მოგვართვით და ხილის ბალებიც მიიარ-მოიარეთ, რომ პირი ჩავიტკბარუნოთ.

(ეკიპაჟის ნევრების უმეტესობა ნერვული სიცილით ბჟირდება. გემბანს ტალღა დაასკდება.)

პილი (გალუმბულია) – სატანას და მის ამქარს უფრთხილდით!

მამილო უბუ – ბატონო ხელის ბიჭო, სასმელი მოგვართვი!

დედილო უბუ – ოჰ, რა ნეტარებაა, რომ მალე ვიხილავთ მშვიდ საფრანგეთს, ძველ მეგობრებსა და ჩვენს მონდრაგონის ციხე-დარბაზს!

მამილო უბუ – ჰეი, ცოტაც და იქ ვიქნებით! სულ ერთი წუთი და ელსენიორის ციხე-დარბაზი თავზე წამოგვადგება.

პილი – რომ გავიფიქრებ, ჩემს საყვარელ ესპანეთს ისევ ვიხილავ-მეთქი, სიხარულით ფრთები მესხმის.

კოტისი – ჰო, თანამემამულეებს ჩვენ საოცარ თავგადასავალს მოვუყვებით და თვალში ნაცარს შევაცრით.

მამილო უბუ – ოჰ, მაგას რა თქმა უნდა! აი, მე პარიზს თავს ფინანსთა მინისტრად გავაცნობ.

დედილო უბუ – ეს ხომ... ოჰ, გამაოგნებელია!

კოტისი – ეგ არაფერი, ამით ელფენორს სახელს შევმატებთ.

პილი – ახლა კი ჩვენი კეთილშობილი ხომალდი მთელი სისწრაფით მიაპობს ჩრდილოეთის ზღვის ტალღებს.

მამილო უბუ – პირქუში და სტუმართმოყვარე ზღვა იმ ქვეყნის ნაპირებს ლოკავს, რომელსაც გოთთა ქვეყანა ჰქვია და ასე კი იმიტომ ჰქვია, რომ ამ ქვეყნის ყველა ბინადარი ერთმანეთის ნათესავია.

დედილო უბუ – აი, რას ნიშნავს განათლება. ამ-ბობენ, ძალიან კარგი ქვეყანააო.

მამილო უბუ – ბატონებო, რაგინდ კარგი ქვეყანა იყოს, პოლონეთს მაინც ვერ შეედრება. პოლონეთი რომ არ ყოფილიყო, არც პოლონელები იქნებოდნენ!

დასასრული

მთარგმნელის ბიოგრაფია

თამარ აბრამიშვილი არის გამოცდილი მთარგმნელი ფრანგული და რუსული ენებიდან. ქართულ ენაზე თარგმნილი აქვს ნიგნები ისეთი ავტორებისა, როგორებიც არიან: ჟიულ ვერნი ("Kéraban-le-Têtu"), მარგარიტ იურსენარი ("L'Œuvre au Noir"), ანრი ალენ-ფურნიე, ("Le Grand Meaulnes"), ალბერ კამიუ, ("L'hôte"), ჟან-პოლ სარტრი ("Les Séquestrés d'Altona"), ვოლტერი ("Le Taureau blanc") და ალექსანდრე დიუმა ("La Tulipe noire"). რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ნაბოკოვის ნაწარმოებები ("Король, дама, валет" და "Приглашение на казнь").

თამარ აბრამიშვილი დაიბადა თბილისში. 2011 წლიდან მუშაობს გამომცემლობაში MTP, სადაც ასევე არის მთავარი რედაქტორი. მისი მშობლიური ენა ქართულია. ასევე თავისუფლად ფლობს ფრანგულ და რუსულ ენებს.

Translator's biography

Tamara is an experienced translator from French and Russian and have to acclaim translated books to Georgian from authors like: Jules Verne ("Kéraban-le-Têtu") Marguerite Yourcenar ("L'Œuvre au Noir"), Henri Alain-Fournier, ("Le Grand Meaulnes"), Albert Camus, ("L'hôte"), Jean-Paul Sartre ("Les Séquestrés d'Altona"), Voltaire ("Le Taureau blanc") and Alexandre Dumas ("La Tulipe noire"). From Russian she have translated: Vladimir Nabokov ("Король, дама, валет" ("King, Queen, Knave") and "Приглашение на казнь" ("Invitation to an Execution")).

Tamara is born in Tbilisi and a linguist specialised in romance languages educated at the Tbilisi State University. Tamara has since 2011 worked with MTP where she also is the main editor. Georgian is her mother tongue and she is also fluent in French and Russian.



დღევანდელ საქართველოში ადვილი შესაძინებია ისეთი ტენდენციები, როგორსაც გენიალური ალფრედ ჟარი დასცინოდა და ამასხარავებდა პიესაში „მეფე უბუ“ მე-19 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში. როდესაც იუმორისმოკლებულ ამპარტავნებას, სისულელესა და საღიზმს ხელისუფლებაში აქვს ადგილი, ამის დაცინვა განსაკუთრებით სასიამოვნო და საჭიროა. როდესაც ხედავ და გრძნობ ავტორიტარულ ტენდენციებს საზოგადოებაში, შეგებაა იმ მწერლების პოვნა, რომლებმაც ეს აშკარად დაინახეს და გაიგეს. „მეფე უბუ“ არის გროტესკული, უცნაური კომიკური პიესა, რომელიც მნიშვნელოვანია იმით, რომ არღვევს კულტურულ ნესებს, ნორმებსა და კონვენციებს. ანტიგმირი, სამწუხაროდ, ბევრ დღევანდელ პოლიტიკოსს გვახსენებს – გუშინდელი სულელი, მატყუარა, არაკომპეტენტური ჯამბაზები დღევანდელ მატყუარა და არაკომპეტენტურ ჯამბაზებს ჰგვანან.

მოგვიანებით მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ ალფრედ ჟარიმ შექმნა ის, რაც შემდეგ ცნობილი გახდა, როგორც მოდერნიზმი მე-20 საუკუნეში და არის დადაიზმის, სიურეალიზმის, ფუტურის და აბსურდის თეატრის წინამორბედი. ჟარი ასევე ითვლება დამაარსებლად პატაფიზიკისა, რომელიც ფილოსოფიის ან მეცნიერების დარგია და რომელიც მეტაფიზიკის მიღმა სამყაროში არსებულ წარმოსახვით ფენომენებს იკვლევს; ეს არის წარმოსახვითი გადანყვეტილებების მეცნიერება.

ალფრედ ჟარის სრული ნამუშევრები პრესტიჟულ კრებულში Bibliothèque de la Pléiade სამ ცომად გამოაქვეყნა ცნობილმა ფრანგულმა გამომცემლობა Gallimard-მა. La Pléiade-ში გამოქვეყნება მწერლების ხელდასხმის ფორმაა, ამ სერიაში სიცოცხლეშივე მხოლოდ რამდენიმე მწერალი დაიბეჭდა.

